დღეს პარლამენტი დაამტკიცებს საყოველთაო თანხმობის მთავარ დოკუმენტს - კონსტიტუციას, რომელიც ქართველმა ხალხმა განიხილა და მოიწონა!

ამასთან დაკავშირებით პრეზიდენტისა და დესტრუქციული ოპოზიციის მავნე ალიანსი პოლიტიკური სატყუარაა!

საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



ⴈⴋⴈⴑⴇⴀⴌⴀ ⴜⴋⴈⴌⴃⴀ ⴑⴀⴕⴋⴄⴘⴈ, ⴐⴍⴂⴍⴐⴈⴚ ⴁⴄⴝⴃ-ⴅⴓⴐⴈ ⴑⴈⴒⴗⴅⴀⴀ, ⴒⴗⴓⴈⴊⴄⴁⴈⴇ ⴃⴀ ⴝⴍⴐⴄⴁⴈⴇ ⴁⴓⴐ-ⴇⴈⴑ ⴂⴀⴒⴀⴌⴀ ⴗⴅⴄⴊⴀ ⴓⴉⴀⴃⴐⴈⴑⴍⴁⴀⴆⴄ ⴓⴑⴀⴛⴀⴂⴊⴄⴑⴈⴀ.

სამშაბათი, 26 სექტემბერი. 2017 წ. №196 (8333), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ვენეციის კომისიის დასკვნას აცდენილები!

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, პრეზიდენტისა და 20 ოპოზიციური პარტიის პოზიცია ვენეციის კომისიის დასკვნას მთლიანადაა აცდენილი.

შესაბამისი განცხადება ირაკლი კობახიძემ გუშინ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომის დასრულების შემდეგ გააკეთა, სადაც საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტები – „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ მესამე მოსმენით განსახილველად წარადგინა.

„რა შენიშვნებიც იყო წარმოდგენილი ამ დოკუმენტში, არც ერთ ამ შენიშვნას ვენეციის კომისია არ იზიარებს, გარდა ერთისა. ვენეციის კომისიამ გამოხატა უკმაყოფილება იმით, რომ სამწუხაროდ, ვერ მოხერხდება 2020 წელს პროპორციული სისტემის ამოქმედება. პრეზიდენტის არც ერთ სხვა შენიშვნას არ იზიარებს ვენეციის კომისია. ეს ეხება პრეზიდენტის არჩევის წესს, ვენეციის კომისიამ ჩვენ მოგვიწონა არაპირდაპირი არჩევა პრეზიდენტისა. უფლებამოსილებასთან დაკავშირებით არც ერთი შენიშვნა ვენეციის კომისიას არა აქვს, ასევე, მთავრობის საკითხებთან დაკავშირებით, უშიშროების საბჭოს გაუქმებასთან დაკავშირებით, და თავდაცვის თავთან დაკავშირებით. შესაბამისად, პრეზიდენტის და ე.წ. 20 პარტიის პოზიცია არის მთლიანად აცდენილი ვენეციის კომისიის დასკვნას. ვენეციის კომისიამ ჩვენ მოგვცა ძალიან პოზიტიური დასკვნა საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით. ასევე, ვენეციის კომისია არ იზიარებს პრეზიდენტის და ე.წ. 20 პარტიის შენიშვნებს საარჩევნო ბარიერთან და ბლოკების გაუქმებასთან დაკავშირებით. ვენეციის კომისიას მიაჩნია, რომ პროპორციული სისტემა, იმ პირობებში, როდესაც დადგენილია 5-პროცენტიანი ბარიერი პარტიებისთვის, სრულად შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ლადო, ლალი თუ ოთარი?

საქართველოდან წარგზავნილ სამ კანდიდატთან ევროსაბჭოს საპარლამენტთაშორისო კომიტეტზე გასაუბრება გაიმართება. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, ლადო ჭანტურიას, ლალი ფაფიაშვილსა და ოთარ სიჭინავას კომიტეტის წევრები 29 სექტემბერს გაესაუბრებიან.

ჯიმშერ ჩარკვიანი: ნუ ვიქნებით უმადურები!.. ③

უგუნური ეგოისტის მანიაკური ამბიციები ⑦

ამერიკა და ნატო ავღანეთში კონტინგენტს ზრდიან ⑧

მალხაზ დოლიძე

ქვეყანა ასეთი ადამიანების მხრეზე დგას ④

ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ ⑤

მაგთი MAGTI

პრეზიდენტი რიგგარეშე სხდომას არ დანიშნავს!!!

საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის თავმჯდომარის მოთხოვნას, რიგგარეშე სხდომის დაწყების თობაზე, ხელს არ მოაწერს და რიგგარეშე სხდომას არ დანიშნავს, – ამის შესახებ პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა ანა დოლიძემ განაცხადა.

„ამავე დროს, პროექტის შემუშავება ნაჩქარევად მოხდა და მასში არ არის გათვალისწინებული ვენეციის კომისიის რეკომენდაციები. შედეგად ჩვენ ვიღებთ ერთპარტიულ დოკუმენტს. ამასთან, პროექტი ვერ უზრუნველყოფს ხელისუფლების შტოთა შორის ელემენტარულ ბალანსსაც კი და, შესაბამისად, ქმნის ერთპარტიული მმართველობის საფრთხეს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, პრეზიდენტი რიგგარეშე სხდომას არ ნიშნავს. ეს არის პრეზიდენტის პოლიტიკური აქტი, რადგანაც, კონსტიტუციის თანახმად, უმრავლესობას თვითონაც შეუძლია, შეიკრიბოს 48 საათის გასვლის შემდეგ“, – განაცხადა ანა დოლიძემ.

საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სხდომა 26 სექტემბერს გაიმართება

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის განცხადებით, პარლამენტი უფლებამოსილია, რიგგარეშე სხდომაზე 26 სექტემბერს შეიკრიბოს. ჟურნალისტებთან საუბრისას ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სხდომის მოსაწვევად, პარლამენტის თავმჯდომარემ 14:01 სთ-ზე, ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის მეშვეობით, შესაბამისი წერილობითი მოთხოვნით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს.

„ვადებს რაც შეეხება, მოთხოვნა გავაგზავნეთ ელექტრონული საქმის წარმოების სისტემის მეშვეობით. ეს მოთხოვნა 14:01 წუთზე გაიგზავნა. კონსტიტუციაში წერია, რომ ვადები იანგარიშება მოთხოვნის გაგზავნიდან. შესაბამისად, გაგზავნის ფაქტს აქვს იურიდიული მნიშვნელობა. ჩვენ შეგვიძლია, ჩვენი ინიციატივით შევიკრიბოთ სამშაბათ დღეს 14:01 სთ-ზე. ეს არის რეალური მოცემულობა“, – აღნიშნა ირაკლი კობახიძემ. მისივე განცხადებით, პარლამენტის იურიდიული დეპარტამენტის უფროსსა და პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანს შორის კომუნიკაცია შედგა.

„იყო კომუნიკაცია პარლამენტის იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელსა და პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანს შორის. ჩვენ ვთხოვეთ, რომ წერილობითად ჩაგვებარებინა ეს დოკუმენტი პრეზიდენტისთვის, თუმცა, იქიდან იყო პასუხი, რომ შაბათ-კვირას პრეზიდენტი არ მუშაობს. ეს იყო პასუხი, რაც ბუნებრივია, არის ბავშვობა და ამაზე დამატებითი კომენტარის გაკეთება არ შეიძლება. მათ ჰქონდათ იმედი, რომ იურიდიულად შეაფერხებდნენ სამშაბათს სხდომის გამართვას, თუმცა, იურიდიულად ჩვენ გვაქვს სრული უფლება, პარლამენტი არის უფლებამოსილი, რომ 14:01 სთ-ზე დაიწყოს პლენარული სხდომა“, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას პარლამენტის თავმჯდომარემ.

ყველაზე დესტრუქციული ამ პროცესში პრეზიდენტი იყო!

მთელი ამ დროის განმავლობაში იყო ყველაზე დესტრუქციული ამ პროცესში – აცხადებს პარლამენტის ვიცე-სპიკერი თამარ ჩუგოშვილი პრეზიდენტზე, საკონსტიტუციო პროექტთან დაკავშრებით საუბრისას. ჩუგოშვილის თქმით, პრეზიდენტის არცერთ მოსაზრებას მხარი ვენეციის კომისიამ არ დაუჭირა. ჩუგოშვილი არ გამორიცხავს, რომ პრეზიდენტმა რიგგარეშე სხდომა არ ჩანიშნოს და კონსტიტუციის კანონპროექტს ვეტოც დაადოს.

ოპოზიციის განცხადებები, თითქოს კომპრომისზე არ მივდიოდეთ, უპასუხისმგებლოა

„ოპოზიციის განცხადებები, თითქოს კომპრომისზე არ მივდიოდეთ, უპასუხისმგებლოა“, – ამის შესახებ საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ მამუკა მდინარაძემ განაცხადა.

როგორც მდინარაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, კონსტიტუციური პროექტიდან ე.წ. ბონუსის მესამე მოსმენის რეჟიმში ამოღების თაობაზე მმართველ გუნდში იმსჯელებენ. მისივე თქმით, იურიდიული თვალსაზრისით, შეიძლება, ამ საკითხზე მსჯელობა და კა-

მათიც იყოს. **„თუ შესაძლებელი იქნება, გადაწყვეტილებას მივიღებთ, თუ არადა, ვთქვით, რომ ამ გადაწყვეტილებას შემდეგი ინიციერების პირობებში მივიღებთ. კომპრომისი მიღებული იყო იმიტომ, რომ ეს ხელს კონსტიტუციის გაჯანსაღებას შეუწყობს, რაც ნამდვილად კომპრომისული ნაბიჯია. ამასთან მიმართებაში ოპოზიციის განცხადებები უპასუხისმგებლოა, თითქოს კომპრომისზე არ მივდიოდით“,** – განაცხადა მდინარაძემ. ცნობისთვის, აღნიშნულის შესახებ მზადყოფნა პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ უკვე გამოთქვა.

არ შეიძლება, ყველაფერი იყოს პოლიტიზებული!

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ მიხეილ ჯანელიძის განცხადებით, საგარეო საქმეთა სამინისტრომ ყველა რესურსი გამოიყენა, კონგოში ტყვედ ჩავარდნილი ქართველის დასახმარებლად. მისივე თქმით, არ შეიძლება, ყველაფერი იყოს პოლიტიზებული, მათ შორის ადამიანის ბედი.

„ამ სენსიტიურ გარემოში ვცდილობდით ტრანსფარენტულობა შეგვენარჩუნებინა და დღესაც ვცდილობთ, გადავდგათ ის ნაბიჯები, რომელიც მართებულია. ვაგრძელებთ ჩვენი საელჩოსა და საკონსულო დეპარტამენტის მეშვეობით მუშაობას. ყველა დაინტერესებული მხარე ინფორმირებულია. რაც შეეხება აქციებს, ამ საკითხის პოლიტიზირება არის ძალიან დასანანი ნაბიჯი. არ შეიძლება, ყველაფერი იყოს პოლიტიზებული, მათ შორის ადამიანის ბედი და სიცოცხლე გამოყენებულ იქნას ოჯახის წევრების ემოციები პოლიტიკური მიზნებისთვის. ჩვენ ვცდილობდით, ნაკლები პოლიტიზირებით, ნაკლები ხმაურით, საქმე გაგვეკეთებინა“, – განაცხადა მიხეილ ჯანელიძემ.

საქართველო-ინდოეთის ბიზნეს-ფორუმი თბილისში

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით, თბილისში საქართველო- ინდოეთის ბიზნეს-ფორუმი გაიმართა.

ღონისძიება ინდოეთის რესპუბლიკის სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში და სომხეთის რესპუბლიკაში იოგენდრა სანგვანიმ და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორის მოადგილემ ნატო ჩიქოვანმა გახსნეს. ბიზნეს-ფორუმზე დასასწრებად და ქართულ კომპანიებთან ორმხრივი შეხვედრების გასამართად საქართველოში 20-მდე ინდური კომპანია ჩამოვიდა.

ინდოეთის ბიზნეს-დელეგაციის წევრი კომპანიები წარმოადგენდნენ შემდეგ სფეროებს: ლუდსახარშის ტექნოლოგიები, ფარმაცია, ბოთლის დამამზადებელი მანქანები, ბუნებრივი წყლის გადამუშავება, ენერგოსექტორი, ტექნოლოგიები, მშენებლობა, მედია, უძრავი ქონება, ლოჯისტიკა.

ღონისძიების პირველ ნაწილში გაიმართა პრეზენტაციები საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის შესახებ, ფორუმის მეორე ნაწილში კი შედგა 50-მდე ორმხრივი შეხვედრა ბიზნესებს შორის. საქართველო-ინდოეთის ბიზნეს-ფორუმის ფარგლებში გაიცვალა ურთიერთგაგების მემორანდუმის ეგზემპლარები საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასა და ინდოეთის ინდუსტრიის კონფედერაციას შორის. დოკუმენტის ფარგლებში დაიგეგმება ერთობლივი აქტივობები ორ ქვეყანას შორის სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების ხელშესაწყობად.

შინაგან საქმეთა მინისტრის ვიზიტი ჩინეთში

შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში პირველი სამუშაო ვიზიტით იმყოფება. ვიზიტის ფარგლებში, გიორგი მღებრიშვილი ჩინეთის ვიცე-პრემიერს, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მინისტრს გუო შენგკუნს შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა ორი ქვეყნის სამართალდამცავ უწყებებს შორის საპოლიციო თანამშრომლობის განვითარების შესახებ ისაუბრეს. **„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, გავაღრმაოთ ჩინელ კოლეგებთან თანამშრომლობა სამართალდაცვით სფეროში. დანაშაული და განსაკუთრებით, საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაული სცდება ერთი ქვეყნის საზღვრებს და მის წინააღმდეგ ეფექტურად საბრძოლველად აუცილებელია პარტნიორ ქვეყნებს შორის მჭიდრო და ნაყოფიერი თანამშრომლობა“,** – განაცხადა გიორგი მღებრიშვილმა.

ჩინეთის საზოგადოებრივი უსაფრთხოების მინისტრმა საქართველოს შს მინისტრს ვიზიტისთვის მადლობა გადაუხადა და ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საქართველოს შს მინისტრის ასეთი მაღალი დონის სამუშაო ვიზიტი ამ დრომდე არ შემდგარა. შეხვედრაზე გუო შენგკუნმა თანამშრომლობისთვის სრული მზაობა გამოთქვა და გაიზიარა გიორგი მღებრიშვილის მოსაზრება საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ძალებით ბრძოლის შესახებ. გიორგი მღებრიშვილმა და გუო შენგკუნმა ხელი მოაწერეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას.

უჩა ნანუაშვილი თავად არის დაკავშირებული ფეთჰულა გიულენის ორგანიზაციასთან!..

საპატრიარქოს უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გიორგი ანდრიაძე **„პრაიმ ტაიმთან“ ინტერვიუში კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ პატრიარქის სახლში თურქეთის მოქალაქეების ცხოვრების თემა ურცხვი ტყუილია და „ერთი დიდი სპექტაკლის ნაწილია“, რომლის მიზანი საპატრიარქოს დისკრედიტაციაა.** ანდრიაძე ამბობს, რომ „ლაზურ პროექტს“ არა-



ნაირი შეხება საპატრიარქოსთან არ აქვს და თურქეთი ამ მოქალაქეების ტერორისტობას ვერ დაასაბუთებს. ანდრიაძე ამბობს, რომ „ლაზებს არანაირი შეხება არ აქვთ ფეთჰულა გიულენის მოძრაობასთან“. ანდრიაძე ამბობს, რომ მაშინ, როცა ჩაბუქის საქმის გამო სახალხო დამცველი „ისტერიკაშია ჩავარდნილი“, არაფერს ამბობს ლაზებთან დაკავშირებით. ანდრიაძე არ გამორიცხავს, რომ უჩა ნანუაშვილი გიულენის ორგანიზაციასთან იყოს დაკავშირებული:

„მე მიკვირს საზოგადოების ეს ორმაგი დამოკიდებულება. მაგალითად, სახალხო დამცველი ლამის ისტერიკაშია ჩავარდნილი ემრი ჩაბუქის საქმეზე და ხმას არ იღებს საქართველოს პატრიოტი ლაზების საქმეზე. პირდაპირ გეუბნებით, რომ უჩა ნანუაშვილი მინიმუმ არის უპასუხისმგებლო, რომელსაც გართულება აქვს პროქართულად განწყობილი ნებისმიერი ადამიანის მიმართ... არსებობს ძალიან დიდი ეჭვი, რომ ეს ადამიანი თავად არის დაკავშირებული ფეთჰულა გიულენის ორგანიზაციასთან...“ – აცხადებს ანდრიაძე.

საქართველოს NASA-ს წარმომადგენლები სტუმრობენ

გუშინ, 25 სექტემბერს ტექნოპარკს NASA-ს წარმომადგენლები სტუმრობდნენ. ღონისძიება „ჩაკრულოს კვირეულის“ ფარგლებში გაიმართა, რომელსაც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი გახარია და ამერიკის ელჩი საქართველოში იან კელი ესწრებოდნენ.

ვიზიტი NASA-ს ისტორიული კოსმოსური მისიის 40 წლის იუბილეს ემთხვევა. 1977 წელს, ლეგენდარული მეცნიერის კარლ საგანის ინიციატივით, NASA-მ კოსმოსში გაგზავნა ე.წ. „ოქროს ჩანაწერი“, რომელზეც 27 მუსიკალურ ნაწარმოებს შორის იყო ქართული „ჩაკრულო.“

ნუ ვიქნებით უმადურები!..

ახლოვდება არჩევნები და მთელი საზოგადოება ფიქრობს, თუ მერობის რომელ კანდიდატს დაუჭიროს მხარი. ალბათ, გასათვალისწინებელია არა რომელიმე პარტიისადმი სიმპათია, არამედ ის, თუ ვინაა ღირსეული კანდიდატი ამ საპატიო და საპასუხისმგებლო თანამდებობაზე და ვინ გაართმევს თავს ისეთ რთულ და საჭირბოროტო საქმეს, როგორიც ქალაქის მერობაა.

ამ საკითხზე გვქონდა მე და ჩემს უფროს ძმას ჯანსუღს საუბარი და გადავწყვიტეთ, რომ შესანიშნავი კანდიდატურა იქნებოდა კახი კალაძე. გვაქვს თუ არა უფლება, პროპაგანდა გავუწიოთ ამ პიროვნებას? და საზოგადოებიდან თუ ვინმეს აქვს უფლება, ალბათ, ჩვენ ორს – მე და ჯანსუღს...

საქართველოს დამსახურებულმა ჟურნალისტმა და საზოგადო მოღვაწემ, ნაღდმა თბილისელმა გივი ფაცურიამ მიამბო, რომ მას 1992 წელს გაუჩნდა იდეა, რომ გამოეშვა მოგონებათა კრებული „100 თბილისელი“. ორი წლის განმავლობაში დადიოდნენ გივი და მისი მეგობარი ჟურნალისტები თბილისის ყველა უბანში და ეკითხებოდნენ განურჩევლად სქესისა, მრწამსისა და ასაკისა, თბილისელებს – ვინ იყო მათ უბანში ცნობილი პიროვნება და ვის ისურვებდნენ, რომ ამ ასკაციან სიაში მოხვედრილიყვნენ... არავის გაუკვირდებოდა ჯანსუღის მოხვედრა ამ სიაში, ის ხომ თხუთმეტი წლის განმავლობაში იყო საზოგადოება „თბილისელის“ პრეზიდენტი, მის სხვა დამსახურებებზე რომ არაფერი ვთქვათ, მაგრამ მე ის გამიკვირდა, მეც რომ მერგო პატივი ამ სიაში დასახელებისა – თბილისელობა ხომ არაა უბრალოდ მოქალაქეობა, მას სხვა დატვირთვა, სხვა პასუხისმგებლობა, სხვა ხიბლი აქვს. პირადად მე მარტო ჩემს კლასში ვიცნობ იმ ადამიანებს, ვისი დასახელებაც ამ ასეულში უფრო უპრიანი იქნებოდა, ვიდრე ჩემი... თუმცა, რა გაეწყობა, ასე მოხდა და ეს კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას მაკისრებს, სწორად ავირჩიო ჩემი ქალაქის მერი...

რაც შეეხება სპორტსმენობას, საბედნიეროდ, ჩვენ გვყავდნენ ფეხბურთელები, რომლებიც მსოფლიოს ნებისმიერ გუნდს დაამშვენებდნენ – პაიჭაძე, მესხი, მეტრეველი, ყიფიანი და სხვები, მაგრამ მათ შორის, ფაქტია, რომ კახი კალაძე ყველაზე ტიტულოვანია ქართული ფეხბურთის მთელი ისტორიის მანძილზე.

მე და ჩემი ძმა ფეხბურთის დიდი გულშემატკივრები ვართ. ჯანსუღი 1964 წელს ტაშკენტში ფინალურ მატჩს ესწრებოდა, სადაც ტრიუმფალური გამარჯვება მოიპოვა თბილისის „დინამომ“. პირადად მე კი დიუსელდორფში ვესწრებოდი თამაშს და ჩვენს ბიჭებთან ერთად გამარჯვების თასი ჩამოვიტანე. ვესწრებოდი ესპანეთში, სევილიაში საბჭოთა კავშირისა და ესპანეთის ნაკრებების თამაშს, სადაც ჩვენი ბრწყინვალე ფეხბურთელი მურთაზ ხურცილავა თამაშობდა... მრავალ თამაშს ვართ დასწრებული მოსკოვში, კიევში, ბაქოსა თუ ერევანში და მაქვს უფლება, როგორც თბილისელმა და როგორც ფეხბურთის გულშემატკივარმა, მოგიწოდოთ, რომ ხმა მისცეთ კახი კალაძის კანდიდატურას. **ნუ ვიქნებით უმადურები მის მიმართ, ისევე როგორც ბატონი ბიძინას მიმართ... ეს ის ხალხია, რომელსაც საქართველოსთვის დიდი საქმეები გაუკეთებია.**

...მინდა, დავამთავრო ლირიკული წიაღსვლით: როდესაც ამ ყოვლისმომცველ უმადურობაზე და იმ ქველ ადამიანებზე ვფიქრობ, როგორიც ჩემი ძმა ჯანსუღია, როგორიც კახია, როგორიც ბიძინაა – თავის სამშობლოზე შეყვარებული და მისთვის თავგადადებული – ერთი ჯანსუღის ლექსის ბოლო სტროფი მიტრიალებს თავში, სადაც ის არაგვზე წერს:

„ცრემლები დასდის მწარენი,
მოაგრიალებს როს ჭალებს,
რას ამბობ, სხვა მდინარენი
ფეხებსაც რომ ვერ მოსჭამენ“...

კახი, ჩვენ შენთან ვართ.

ჯიმშერ ჩარკვიანი

კახი კალაძე: ძალიან მნიშვნელოვანია აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამის განახლება

კახი კალაძე, მერად არჩევის შემდეგ, ჯანდაცვის სხვა პროგრამების განვითარებასთან ერთად, აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის მუნიციპალური პროგრამის განახლებას გეგმავს. ამის შესახებ მან სოციალური პოლიტიკის პრეზენტაციისას ისაუბრა.

„ძალიან მნიშვნელოვანია აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის მუნიციპალური პროგრამის განახლება. მშობლებთან და პროფესიონალებთან ერთად ახალი კონცეფცია შემუშავდება და განვახორციელებთ“ – განაცხადა თბილისის მერობის კანდიდატმა. მისივე თქმით, ამ პროცესში მშობლების ჩართულობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

კახი კალაძის გეგმები შეაფასეს პრეზენტაციაზე დამსწრე მშობლებმაც.

„ჩემთვის, როგორც ერთი რიგითი მშობლისთვის, რომლის შვილიც აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონეა, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის გზავნილები, რაც დღეს მოვისმინე. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო განწყობა, რომელიც აშკარად იგრძნობოდა და დარწმუნებული ვარ, რომ კახი კალაძის მერობის პერიოდში გაკეთდება მაქსიმუმი იმისთვის, რომ, ზოგადად, ბავშვებს, მათ შორის განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებს ჰქონდეთ განსაკუთრებული ხელშეწყობა“ – განაცხადა ლაშა კვანტალიანმა.

სოციალური პოლიტიკის წარდგენას ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო, ჯანდაცვისა და სოციალური საკითხების სპეციალისტები და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

ეს უამრავი ჩვენი მოქალაქის სიცოცხლის გადარჩენას ნიშნავს!

მომავალ წლებში ჯანდაცვის მიმართულებით ორი მუნიციპალური პროგრამა გაფართოვდება. ამის შესახებ თბილისის მერობის კანდიდატმა კახი კალაძემ განაცხადა.

მისი თქმით, დაავადებათა სკრინინგის პროგრამას დაემატება ფარისებრი ჯირკვლის კიბოს სკრინინგის, ხოლო ტრანსპლანტაციის პროგრამას – ღვიძლის ტრანსპლანტაციის კომპონენტი.

„ეს ბევრი ჩვენი მოქალაქის სიცოცხლის გადარჩენას ნიშნავს. თქვენ იცით, რომ ეს საკმაოდ ძვირადღირებული ოპერაციაა და გადავწყვიტეთ, რომ ის ადამიანები, ვისაც ეს ესაჭიროება, თბილისის მერიამ, მუნიციპალიტეტმა დააფინანსოს“ – განაცხადა კახი კალაძემ. თბილისის მერობის კანდიდატმა ყურადღება გაამახვილა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ეფექტიან ფუნქციონირებაზე და აღნიშნა, რომ ავტოპარკი განახლდება.

„ვაპირებთ ავტოპარკის განახლებას და 70 ახალი სპეციალური ავტოსატრანსპორტო საშუალების შემოყვანას, რომელსაც ექნება პორტატული კომპიუტერი და ახალი საკომუნიკაციო სისტემა. ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ოპერატიულობის გაზრდა. ეს პროექტი დაახლოებით 30 მილიონი ლარით დაფინანსდება“ – განაცხადა კახი კალაძემ.

თბილისის მერობის კანდიდატის განცხადებით, მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის პროგრამების ადმინისტრირება სრულად ელექტრონულ მართვაზე გადავა და მინიმუმამდე შემცირდება დაფინანსების მიღებისთვის საჭირო მოცდის პერიოდი.

„ჩვენ გვინდა, რომ შევქმნათ სპეციალური ვებ-პლატფორმა, რომლითაც ადამიანი სახლიდან გაუსვლელად ისარგებლებს. დღეს ინტერნეტთან ყველას მიუწვდება ხელი და შესაბამისად, შეუძლია მისწეროს კონკრეტულ ვებგვერდზე, რომელიც იქნება შექმნილი და შესაბამისად, რამდენიმე საათში მიიღებს პასუხს იმ დახმარებასთან დაკავშირებით, რომელსაც მოითხოვს“, – განმარტა კახი კალაძემ.

მისივე თქმით, გაგრძელდება ჯანდაცვის სერვისების დაფინანსება გამგეობებისგან. „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თბილისის მერობის კანდიდატმა გაიხსენა ჯანდაცვის რეფორმა, ხაზი გაუსვა 2012 წლიდან ჯანდაცვის პროგრამების განვითარებას და ჯანდაცვის მინისტრს დავით სერგეენკოს გაწეული სამუშაოსთვის მადლობა გადაუხადა. კალაძის თქმით, ცენტრალური მთავრობის მიერ განხორციელებული ჯანდაცვის პროგრამების გარდა, თბილისის მუნიციპალიტეტი ჯანდაცვის პროგრამებზე მომავალ წელს 15 მილიონ ლარს დახარჯავს.

დაიხვეწება სოციალური პროგრამები და შეიქმნება მუნიციპალური საბინაო ფონდის კონცეფცია

კახი კალაძის თქმით, კონცეფციის მიხედვით, მომავალი წლების განმავლობაში სოციალური საცხოვრებლების მშენებლობა დაიწყება.

თბილისის მერობის კანდიდატის თქმით, შემუშავებული სოციალური პოლიტიკა სამ მიზანს ისახავს: სოციალურ პროგრამებზე ხელმისაწვდომობის ზრდა, ჯანდაცვის პროგრამების განვითარება და ინკლუზიური ქალაქი ყველა თაობისთვის. კახი კალაძემ აღნიშნა, რომ დაიხვეწება არსებული 22 სოციალური პროგრამა, რომლებიც განკუთვნილია სოციალურად დაუცველების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, მრავალშვილიანი ოჯახების, ხანდაზმულებისა და ახალშობილებისთვის.

„გარდა ამისა, გამგეობის მხრიდან სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობის მატერიალური მხარდაჭერა, რა თქმა უნდა, გაგრძელდება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა უფასო სასადილოების პროგრამის დახვეწას და რაციონის, ასევე, სერვისის გაუმჯობესებას. ამისთვის გამგეობებს მერიიდან გამოეყოფა დაახლოებით 30 მილიონი ლარი“ – განაცხადა მერობის კანდიდატმა.

მისი თქმით, სოციალური პროგრამების განხორციელების კვალდაკვალ ყურადღება მიექცევა სიღარიბის შემცირებისაკენ მიმართულ ღონისძიებებს.

„ამ მიმართულებით ვაპირებთ, ცენტრალურ მთავრობასთან და კერძო სექტორთან თანამშრომლობით მოქალაქეთა გადამზადებას. ჩვენ მივესალმებით ამ მიმართულებით განათლების სამინისტროს მუშაობას. მუნიციპალიტეტის მხრიდან იქნება თანადგომა, რომ პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამები განხორციელდეს მერიის, კოლეჯისა და კერძო სექტორის თანამშრომლობით“ – განაცხადა კახი კალაძემ. რაც შეეხება სოციალურად დაუცველი და მოწყვლადი ჯგუფების ღირსეულ საცხოვრისზე ხელმისაწვდომობას, კახი კალაძემ ყურადღება საცხოვრებელი ფართების დაკანონების პრობლემაზე გაამახვილა.

„ადამიანები, რომლებიც 20-25 წელია, ცხოვრობენ, ვერ ახერხებენ ამ ფართების დაკანონებას. დღესაც შიშით ცხოვრობენ, ხვალ ვინმემ არ გამოასახლოს. ჩემი მერობის პირობებში პირველ რიგში დავიწყებთ ამ პრობლემის მოგვარებას“ – აღნიშნა თბილისის მერობის კანდიდატმა.

მისი თქმით, 2012 წელს, როდესაც ხელისუფლების გადაბარება მიმდინარეობდა, გარკვეული ადამიანები მიზანმიმართულად შეიჭრნენ სახელმწიფო დაწესებულებებში, თუმცა მათი გამიჯვნა მოხდება იმ მოქალაქეებისგან, რომლებიც წლების განმავლობაში ცხოვრობენ კონკრეტულ საცხოვრებლებში.

„გამიჯვნა შესაძლებელია. ეს შეიძლება იყვნენ დევნილები, უსახლკაროები, რომლებიც ძალიან ბევრი წლებია, ცხოვრობენ ამ საცხოვრისში და ისინი ვერ ახერხებენ დაკანონებას. შესაბამისად, ჩემი მერობის პირობებში, ამ პრობლემას მოვაგვარებ“ – განაცხადა კახი კალაძემ. სოციალური პოლიტიკის პრეზენტაციას ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო, ჯანდაცვისა და სოციალური საკითხების სპეციალისტები, მაჟორიტარობის კანდიდატები და სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

◎ პიროვნება

ქვეყანა ასეთი ადამიანების მხრებზე დგას

შრომით, მოქალაქეობრივი პოზიციით, ცხოვრების წესით საზოგადოებისთვის სამაგალითოა შესანიშნავი მეწარმე გივი აბალაკი.

გულმხურვალე პატრიოტი, დიდი ოჯახის თავკაცი, შვილიშვილებითა და ცხოვრების გამოცდილებით დაყურსული, 80 წელს გადაცილებული კაცი კვლავ ძველი შემართებით ირჯება, როგორც მის მშობლიურ გორს ეკადრება.

გივი აბალაკი ყოველთვის სამაგალითო იყო. კომუნისტურ ხანაში კომკავშირის გორის რაიკომის მდივანი მრავალი მამულიშვილური წამოწყების ბაირახტარი გახლდათ. რამდენ საპასუხისმგებლო თანამდებობაზეც უმუშავია, ყოველთვის პირველი იყო. პარლამენტის დეპუტატობის დროს გვახსოვს მისი დინჯი და აწონილი გამოსვლები.

გორში (ბერბუკში) პირველმა ჩამოაყალიბა სამაგალითო წისქვილი-მეურნეობა — შპს „აბალაკი“, აქ ყველაფერი მისი ხელით არის გაკეთებული, რაც მთავარია, გემოვნებით და ლაზათიანად. მე, როგორც პურპროდუქტების დარგის სპეციალისტს, გული გამინათა ბერბუკის წისქვილის ხილვამ, რაც მთავარია, მისი ნაწარმი ფქვილი მაღალი ხარისხით გამოირჩევა. მენდეთ, ამას დიდი შრომა, საქმეში სულისა და გულის ჩადება სჭირდება, სიმამაცეც.

ამ ბოლო სიტყვაზე ტრაგიკული 2008 წლის აგვისტო, გორში მომდგარი რუსის ჯარი გამახსენდა. მაშინ გივი აბალაკმა გაბედული, თავგანწირული ნაბიჯი გადადგა საყვარელი ქალაქის გადასარჩენად: პირისპირ შეხვდა რუს გენერალს ბორისოვს (თუ რა რთულად მოსაგვარებელი იყო ოკუპანტთა სარდალთან, თუნდაც მხოლოდ შეხვედრა, ცალკე საუბრის თემაა!)

ბორისოვი თავდაპირველად „ხიშტებით“ შეხვდა გივის, დაიწყო ხელების ქნევა და სალდაფონური „მჭევრმეტყველება“. გივიმ ჩვეული სიდარბაისლით, გაწონასწორებულად უპასუხა. ჯერ ის უთხრა, მამაჩემი მოსკოვის დაცვის დროს დაიღუპა დიდ სამამულო ომშიო. ისიც შეახსენა, ხომ არ გავიწყდება, გორი ვისი მშობლიური ქალაქია და ვინ ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირის ხალხთა გმირულ ბრძოლას ფაშიზმთანო.

ასეთმა დასაწყისმა გენერალი ბორისოვი, ცოტა არ იყოს, დააცხრო და შექმნილ პრობლემებზე დაიწყო საუბარი, მერე ფურცელი და ფანქარი მოიმარჯვა, რომელია პირველი რიგის აუცილებლობანიო.

მაცივარს დენი არ მიეწოდება და პროდუქტები ფუჭდებაო... წყალსაქაჩი გათიშულია, რაც სასიცოცხლო ობიექტების პარალიზებას იწვევსო... ჰოდა, აღსადგენად ხალხი გაგზავნეს...

ზოგიერთი ზარებს დაარისხებდა, ასეთი რამ ჩავიდინეო, ქალაქი დარბევასა და აწიოკებას გადავარჩინეო. მისი სიქველე კი მხოლოდ უახლოესმა მეგობრებმა შეიტყვეს.

წელან მოსკოვთან დაღუპული მისი მამა ვახსენეთ. დღემდე სათუთად ინახავს სამკუთხა ბარათებს, სადაც ჯარისკაცი შვილს იმედით ავსებს, აუცილებლად გავიმარჯვებთო, ოჯახს აიმედებს, ოღონდ თქვენ მყავდეთ კარგად და მე არაფერი მიჭირსო. ასეთი იმედიანები არიან მისი შთამომავლებიც.

უცხოურად და ლამაზად მჟღერი, ძველი გვარია აბალაკი. ოღონდ ცოტანი არიან, სულ ორასამდე, მაგრამ სიმცირით არასდროს გატეხილან. აღმოსავლეთ საქართველოს ამ გვარისა კათალიკოს-პატრიარქიც კი ჰყავდა 1492-1497 წლებში — აბრაამ II. უმძიმეს წლებში მოუხდა მოღვაწეობა მეუფე აბრაამს — იმ დროისთვის ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლა უკვე რეალობა იყო. მაინც კი თავისი შესაძლებლობის ფარგლებში ცდილობდა ხელი შეეშველებინა ქვეყნისთვის: განუახლებია მეტეხის ღვთისმშობლის მონასტრის თამარ მეფის დროინდელი წისქვილი და აუშენებია ორი ახალი, იმავე მონასტრისთვის შეუწირავს ვენახი.

ალბათ, თავისი წინაპრის პატივისცემის გამო გამოჰყვა გივი აბალაკს განსაკუთრებული პატივისცემა ქართული ეკლესიისა და მისი ამჟამინდელი მესაჭის მიმართ. ღვინით სავსე ჭიქით მზეს გახედავს და იტყვის, ღმერთმა დიდხანს გვიცოცხლოს ჩვენი უწმინდესი და უნეტარესი კათალიკოს-პატრიარქიო.

ბატონი გივი დამსახურებული კაცია და დამსახურებული ავტორიტეტითაც სარგებლობს საზოგადოებაში, იმ ადამიანებში, ვისთან ერთადაც ათეული წლების მანძილზე უხდებოდა შრომა. ყოველთვის კეთილი დამრიგებელი, თბილი და გულითადი გზის გამკვალავი იყო ახალგაზრდა მუშაკებისა, გულწრფელად გულშემატკივრობდა მათ, რათა პრობლემები სწრაფად და შეუფერხებლად მოეგვარებინათ. რას იზამ, ხანდახან ხვდებოდნენ ისეთებიც, რომლებიც უკადრისობდნენ გულწრფელ, უანგარო ხელის შეშველებას და... კისერსაც მალე წაიტეხდნენ კიდეც.

ამ განათლებულ, მაღალი ინტელექტის ადამიანთან შეხვედრები და საუბრები პრაქტიკული, ჭკუის სასწავლია ნებისმიერი ადამიანისთვის, რასაც ბევრი ცნობილი პიროვნება დაადასტურებს.

გივი აბალაკის მსგავსი ადამიანების მხრებზე დგას ჩვენი ქვეყანა, ღმერთმა გვიმრავლოს!

მალხაზ დოლიძე,
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე

◎ ძერის ორმო

ხვრელები არ უნდა დარჩეს...

ბანკები ფულის შოვნის მარტივ გზას დაადგნენ

ვალუტის ყიდვა-გაყიდვით ბანკები კოლოსალურ მოგებას იღებენ. ასევე უზარმაზარი შემოსავალი აქვთ ჯარიმებიდან და საკომისიო მომსახურებიდან. გამოდის, რომ ადგილობრივი კომერციული ბანკები პირდაპირი დანიშნულების ნაცვლად, სულ სხვა მიმართულებით აფართოებენ თავიანთ საქმიანობას.

ბანკებმა 2017 წლის 2 კვარტალში ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან 114,9 მლნ. ლარის მოგება მიიღეს. მხოლოდ პირველ კვარტალში ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან ბანკების მოგებამ 58 382 400 ლარი შეადგინა, მეორე კვარტალში კომერციულმა ბანკებმა ვალუტის ყიდვა-გაყიდვიდან 56,7 მილიონი ლარის მოგება მიიღეს.

„სავალუტო ოპერაციებიდან მიღებულ თანხებთან დაკავშირებით გამოვყოფ ორ მხარეს. პირველი — ბიზნესის კუთხით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის ძალიან კარგი შედეგი ბანკებისთვის და ბანკს ვერ დავუშლით, რომ არ მიიღონ შემოსავალი, თუ ამის საშუალება აქვთ. თუ ვაშენებთ თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას, აქ ასეთები და უარესებიც ხდება.

მეორე მხრივ, რამდენად ლოგიკურია 114 მილიონი ლარის მიღება ბოლო ორ კვარტალში სავალუტო ოპერაციებიდან — ეს კითხვა უნდა დაისვას ეროვნული ბანკის წინაშე, რომელიც არის რეგულატორი. ვფიქრობ, სწორედ ეროვნულმა ბანკმა უნდა გასცეს ამას პასუხი — რამდენად ლოგიკურია, რამდენად სწორია და სხვადასხვა ქვეყნის მაგალითებს შეადაროს. როცა აღმოჩნდება, რომ შედარების თვალსაზრისით საქართველო მოწინავე პოზიციაზეა განვითარებად ქვეყნებს შორის — აქ უკვე გაჩნდება კითხვა, ასე რატომ ხდება? ქართული ბანკები კი სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული მოგების მოცულობით განვითარებად ქვეყნებს შორის მოწინავე პოზიციაზე ნამდვილად არიან.

რეგულატორმა, ანუ ეროვნულმა ბანკმა უნდა თქვას, რატომ იღებენ ბანკები ასეთ მაღალ შემოსავალს სავალუტო ოპერაციებიდან და ამავე ოპერაციებიდან არასაბანკო სექტორი არ იღებს ასეთ მაღალ შემოსავალს. ჩვენ ბანკს შეგვიძლია დავუწესოთ შეზღუდვები, რის მიხედვითაც შევძლებთ ამ შემოსავლის შემცირებას. მაგალითად, სავალუტო ოპერაციებში ჩაუდო კურსი, მოგეხსენებათ კომერციული ბანკების კურსი ზოგჯერ არის არაადეკვატური. თუ დღეს სავალუტო კურსი არის 2.47 და 2.48 არის ბაზარზე, ბანკში ამ დროს არის 2.50, შესაბამისად, ეს 2-პუნქტიანი განსხვავება ბანკს უკვე აძლევს მეტ შემოსავალს“, - განუცხადა „კომერსანტს“ ირაკლი ბერძენაძემ.

სავალუტო ოპერაციების კომპონენტში ეს არ არის მთავარი. საქმე ისაა, რომ კომერციული ბანკები (ძირითადად 2-3 ბანკი) ხშირად სპეკულაციურად ზემოქმედებენ გაცვლით კურსზე და ამით მნიშვნელოვან სარგებელს იღებენ. ცნობილია, რომ „ბლუმბერგის“ სავაჭრო სისტემაში სწორედ ბანკებს შეუძლიათ ვალუტით ვაჭრობა და რაც მთავარია, იქ ყველა ინფორმაცია დახურულია. გაუმჭვირვალე სისტემაში კი რა ხდება, საქართველოს მთავრობის წევრებმაც არ იციან. ლარის ბოლოდროინდელი არაადეკვატური გაუფასურების შედეგიც სწორედ საბანკო სპეკულაციებია.

საბირჟო საქმის ექსპერტი ვახტანგ ხომიზურაშვილი ამბობს, რომ ეროვნული ვალუტის გაუფასურების ფუნდამენტური მიზეზები არ არსებობს და ლარის მკვეთრი ვარდნა საბანკო მაქინაციების შედეგია.

„ეროვნული ვალუტის კურსის გაუფასურების ფუნდამენტური ფაქტორები არ არსებობს, რადგან ცვლილებები არ არის არც ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში და არც სავაჭრო ურთიერთობებში. ერთადერთი, რაც შეიძლება ლარის გაუფასურების მიზეზად დასახელდეს, ბანკების სპეკულაციური ოპერაციებია. დღეს არსებული „ბლუმბერგის“ სავაჭრო სისტემა იძლევა იმის საშუალებას, რომ პატარა თანხებით მოახდინონ სავალუტო კურსის კორექცია. ხშირ შემთხვევაში, ასეთი ცვლილებები არ შეესაბამება ბაზარზე არსებულ ობიექტურ მდგომარეობას, ანუ რეალურად ასიმეტრიული და არაადეკვატურია რეალობასთან. ამის საშუალებას ეროვნული ბანკის პოლიტიკა იძლევა, რომ ბანკებს შეუძლიათ თვითნებურად კურსის ფორმირება“, — აცხადებს ხომიზურაშვილი.

რამდენიმე წლის წინათ ჩათვალეს, რომ ბანკები საბაზრო ეკონომიკის ხერხემალია, მათთვის ბევრი შეღავათი დაწესდა, რის შედეგადაც ბანკებმა ყველა სფერო ხელში ჩაიგდეს და მთელი ქვეყნის ეკონომიკას და მთავრობასაც თავის პირობებს უკარნახებს.

„საბოლოო ჯამში მივიღეთ ის სიტუაცია, რაშიც დღეს ვართ. ჩვენ არ შეიძლება, არ გვესმოდეს ბანკის მნიშვნელობა ჩვენს ეკონომიკაში. მაგრამ როდესაც ბანკის მოგების მოცულობაში ჯარიმებით მიღებული შემოსავალი უფრო მეტია, ვიდრე საბანკო საქმიანობით, ეს კარგი არ არის“, — აცხადებს პარლამენტის დეპუტატი რომან კაკულია.

მისივე თქმით, ეროვნული ბანკი ცდილობს, რომ ბანკების არაპროფილური საქმიანობა დაიძლიოს, მაგრამ ისიც უნდა გვესმოდეს, რომ ხვრელები არ უნდა დარჩეს. ამისთვის კი ძალიან მახვილი თვალია საჭირო.

ბექა დანელია

მაგთიკომი: განვლილი გზა, დღევანდელობა, მიზნები

უსწრაფესი ტემპებით განვითარება კაცობრიობის საკომუნიკაციო სფერომ, არსებითად, მე-20 საუკუნის მიწურულისთვის დაიწყო, მაგრამ 21-ე საუკუნის დამდეგიდან, განსაკუთრებით კი ბოლო წლებში, წინსვლა განსაკუთრებით შესამჩნევია. ყველაზე მეტად კი ეს მობილური კავშირის, ინტერნეტის, ასევე აი-ფი და სატელიტური ტელევიზიების სეგმენტებს ეხება. ბუნებრივია, რომ მსოლფიოში მიმდინარე ამ ტექნოლოგიური გარღვევების ერთ-ერთი აქტიური გადმომღები და დამნერგავი საქართველოს საკომუნიკაციო კომპანიებია, თუმცა კი, ამ უაღრესად მნიშვნელოვანი სფეროს უდავო ლიდერია მაგთიკომი, რომელიც წლეულს ოპერირების დაწყების 20 წლისთავს აღნიშნავს.

კომპანია მაგთიკომის ისტორიაში საიუბილეო თარიღი 22 სექტემბერს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში საზეიმოდ აღინიშნა და მას ჩვენი საზოგადოებრიობის მრავალი გამორჩეული პირი დაესწრო.

თავდაპირველად დამსწრეთ კომპანია ნეოსტუდიის

მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმი წარუდგინეს, რომელიც მაგთიკომის ოცწლიან ისტორიას ასახავს. დიდი პროფესიული ოსტატობით შექმნილ ამ ვიდეომატიანეში განვლილი გზის საფეხურების, დაძლეული სიძნელეების, მიღწეული წარმატებებისა და სამომავლო გეგმების შესახებ მაყურებელს მაგთიკომის პასუხისმგებლობა თანამშრომლებმა მოუთხრეს, თუმცა კი განსაკუთრებით საგულისხმო ყველასთვის, ცხადია, კომპანიის დამფუძნებლის **გია ჯოხთაბერიძის** გამოსვლა იყო, რომელმაც ორი ათეული წლის მანძილზე გამოვლილი გზის საკვანძო მომენტებზე შეაჩერა საზოგადოების ყურადღება. ბუნებრივია, რომ წინამდებარე პუბლიკაციაში მაგთიკომის ისტორიას ვრცლად ვერ განვიხილავთ და მხოლოდ ვიდეოფილმში წარმოჩენილ უმთავრეს მომენტებს აღვნიშნავთ.

მართალია, შპს მაგთიკომი ოფიციალურად კი დაარსდა 1996 წლის თებერვალში, მაგრამ მისი ქსელიდან პირველი კომერციული ზარი 1997 წლის სექტემბერში განხორციელდა, ამიტომაც თავიანთი წარმატებების ათვლის წერტილად კომპანიაში ამ თარიღს მიიჩნევენ.

— შექმნის დღიდან მოყოლებული, მაგთიკომს სრული პასუხისმგებლობით აქვს გათვითცნობიერებული ქვეყნისთვის საკომუნიკაციო საქმიანობის სტრატეგიული მნიშვნელობა. ამ სფეროში მოღვაწეობა, მით უმეტეს მისი ფლაგმანობა, ერთდროულად უდიდესი პასუხისმგებლობაცაა და გარკვეული პრივილეგიაც. იქნებ ამიტომაცაა, რომ ამ ორი განსაკუთრებული ნიშნის ორგანული შერწყმა განაპირობებს დიდწილად კომპანიის სლოგანის — ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ! — ესოდენ თვალსაჩინო პოპულარობასა და სანდოობას. ამის განმტკიცებაში კი მაგთიკომს უდავოდ ეხმარება ის გარემოება, რომ საკომუნიკაციო პროცესის განუწყვეტელი ოპტიმიზაცია და განვითარება მოღვაწეობის მუდმივი პრიორიტეტია. ეს კი სულაც არ არის იოლი, რადგან მაგთიკომის სამეწარმეო საქმიანობა ერთი ადგილიდან მეორეში ხმოვანი, ვიდეო და ინტერნეტის სიგნალების გადაცემაა, რაც უაღრესად რთული ტექნოლოგიური პროცესია, რომელშიც ინფორმაციის გარდაქმნის საკმაოდ გრძელ ციკლს მოიცავს და რომელსაც ფირმის კოლექტივი ოცი წელია, წარმატებით ახორციელებს, — ამბობს ბატონი გია ჯოხთაბერიძე.

წლების მანძილზე მაგთიკომს არაერთი როგორც ტექნიკური და ფინანსური, ასევე სახელმწიფო აღმასრულებელი სტრუქტურების მიერ ტენდენციური გადაწყვეტილებების შედეგად წარმოშობილი პრობლემების გადაჭრა მოუწია, თუმცა კი, ერთგულ თანამშრომელთა, თანამოაზრეთა და უღალატო პარტნიორებთან ერთად, რომელთა შორის დაარსების დღიდან განსაკუთრებული ადგილი ნეოსტუდიას უკავია.

მაგთიკომის ოცწლიანი მოღვაწეობის წარმატებული შედეგის უდავო დასტურია ის გარემოება, რომ დღესდღეობით საქართველოში მისი აბონენტი სამ მილიონ კაცზე მეტია, რომელიც სხვადასხვა სახეობის მომსახურებით სარგებლობს. ამას კი მისი 2800-კაციანი კოლექტივის სადღეღამისო რეჟიმში საათივით აწყობილი მუშაობა უზრუნველყოფს.

რაც შეეხება კომპანიის სამომავლო გეგმებს, ამასთან დაკავშირებით ბატონმა გია ჯოხთაბერიძემ, კერძოდ, აღნიშნა:

— მაგთიკომმა უკვე მიაღწია ტელეფონის მსოფლიო მოთხოვნების უმაღლეს საფეხურს და ახლა არ უნდა დაგვრჩეს საქართველოს არც ერთი სოფელი ინფორმაციისა და ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტის გარეშე. მაგთიკომელებიც სწორედ ამისკენ ვისწრაფვით და ამ დიდ საქმეში ჩვენი წვლილი შეგვაქვს.

მაგთიკომის მოღვაწეობის ოცი წლისთავთან დაკავშირებით კომპანიას მადლიერების სიტყვები უთხრეს და გზის წარმატებით განგრძობა უსურვა მისმა მრავალმა სახელოვანმა აბონენტმა, მათ შორის მუსიკოსმა დავით ევგენიძემ, არქიტექტორმა გიგა ბათიაშვილმა, რეჟისორმა რეზო გაბრიაძემ, დირიჟორმა ვახტანგ კახიძემ, პიანისტმა ელისო ბოლქვაძემ, მწერალმა გურამ დოჩანაშვილმა, კინორეჟისორმა ელდარ შენგელაიამ, მომღერალმა ნატო მეტონიძემ, ბალერინა ნინო ანანიაშვილმა, ჟურნალისტმა სოფო შევარდნაძემ, სხვებმა.

საღამოს დასასრულს შედგა ცნობილი ინგლისურენოვანი იტალიელი მომღერლის **მარიო ბიონდის** კონცერტი, რომელიც მაყურებელმა დიდი სითბოთი მიიღო.

ოთარ ტურაბელიძე

ილიაუნის სტუდენტები ლექტორების გათავისუფლებას აპროტესტებენ

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები უნივერსიტეტიდან 25-მდე ლექტორის გათავისუფლებას აპროტესტებენ და დეკანის გადადგომას ითხოვენ.

„ძალა სტუდენტებშია“ — ამ სლოგანით ისინი უნივერსიტეტის წინ აქციას მართავენ და აცხადებენ, რომ ლექტორების გათავისუფლება სრულიად უსაფუძვლო და არასამართლიანი პროცესია.

უნივერსიტეტის შენობის წინ შეკრებილების თქმით, არგუმენტი, რომლითაც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის დეკანმა ნინო პატარაიამ ლექტორების გაშვების მიზეზად დაასახელა, არის უსაფუძვლო და საღ აზრს მოკლებული, ამიტომაც, მათი განცხადებით გათავისუფლებული ლექტორები სამსახურში უნდა აღადგინონ. ცნობისთვის, დეკანის განცხადებით, ლექტორები 5 სექტემბერს ამოქმედებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების საფუძველზე გათავისუფლა.

რექტორი მოთხოვნებს განიხილავს

ილიას **უნივერსიტეტის რექტორის გიგა ზედანიას განცხადებით, ყოფილი ლექტორები იმ შემთხვევაში დაბრუნდებიან ილიაუნის ლექტორებად, თუ უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვებენ, მაგრამ მათ აეკრძალებათ სხვა უნივერსიტეტში აკადემიური პოზიციის დაკავება.**

როგორც რექტორმა უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის სტუდენტებთან შეხვედრისას განმარტა, მთავარი მოტივი, თუ რატომ არ გაუგრძელდა 25 ლექტორს ხელშეკრულებები, ის არის, რომ სხვა კერძო უნივერსიტეტების პროფესორები გახდნენ.

„ბიზნეს-სკოლას მოუწია ახალი აკადემიური პერსონალის მოძიება. მიუხედავად ამისა, ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ თანამშრომლობა გაგრძელდეს, ოღონდ ამ მოწვეულმა ლექტორებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა გამოცხადებულ კონკურსში. დაახლოებით 15-მდე პროფესორის ვაკანსიაზე არის კონკურსი გამოცხადებული. შესაბამისად, თუ ისინი გაიმარჯვებენ, გახდებიან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, ოღონდ მათ აეკრძალებათ სხვა უნივერსიტეტში აკადემიური პოზიციის დაკავება.

დეკანის გათავისუფლება კი ჩემი კომპეტენცია არ არის. დეკანს რექტორი ვერ გადააყენებს, რადგან ის არის არჩეული ბიზნეს-ფაკულტეტის პროფესორებისა და სტუდენტების მიერ“, — განაცხადა გიგა ზედანიამ და დასძინა, რომ ცალკეული ლექტორების ქეისებს განიხილავს.

სველი წერტილების მონიტორინგის გამკაცრების შედეგად დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხი დადგება

საქართველოს **განათლებისა და მეცნიერების მინისტრ ალექსანდრე ჯეჯელავას განცხადებით სასწავლო დაწესებულებებში სველი წერტილების მონიტორინგის გამკაცრების შედეგად ათობით დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხი დადგება.**

როგორც მინისტრმა განმარტა, თუ აქამდე სველი წერტილების შემოწმება წელიწადში ერთხელ ან ორჯერ ტარდება, ახლა თვეში ერთხელ განხორციელდება.

„გამკაცრება გულისხმობს ინტენსივობას პირობითად. ჩვენ რესურსი თუ გვყოფნიდა, რომ სკოლებში წელიწადში ერთხელ ან ორჯერ შემოწმებულიყო სველი წერტილი, ახლა გვაქვს საშუალება, რომ, პრაქტიკულად, ყოველთვიურად მონიტორინგი იყოს. გარდა ამისა, მშობლები ჩაერთვებიან პროცესში. ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მშობლები არიან ინფორმაციის ყველაზე კარგი წყარო და ჩვენი სამსახურები იქნებიან მობილიზებული, როგორც რეგიონში ასევე თბილისში, რომ ნებისმიერი სიგნალი, რომელიც დაკავშირებული იქნება არამარტო სველ წერტილში, არამედ, ზოგადად, ჰიგიენასთან და ბავშვების ჯანმრთელობისთვის რაიმე საფრთხესთან, იყოს ძალიან სწრაფად რეაგირების საფუძველი. ყველა დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხი დადგება, ვინც არაჯეროვან ყურადღებას მიაქცევს ბავშვების ჯანმრთელობას“, — განაცხადა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

ვახტანგ მაისაია: ტიმოშენკო, ნალივაიჩენკო და სააკაშვილი კრემლის კარგად შენიღბული ტროას ცხენები არიან

გამორიცხული არ არის, ამერიკელები პოროშენკოს შემცვლელს ეძებდნენ და სწორედ ეს გახდა სიგნალი სააკაშვილისთვის, რამაც უბიძგა მას ბოლოდროინდელი მორიგი გააქტიურებისკენ უკრაინაში. პარალელურად, სააკაშვილის მოსათოკად, ამ სამიოდე თვის წინათ უკრაინის ცენტრალურმა არხმა გოგა ხაინდრავას ფილმი „ჰეროკრატია“ შეიძინა. გამორიცხული არ არის, სწორედ ასეთი მეთოდებით ცდილობდეს პოროშენკო სააკაშვილის უკრაინელი მომხრეებისთვის გონების გახსნას.

უკრაინულ პრობლემებზე გვესაუბრება ექსპერტი ვახტანგ მაისაია.

— ფაქტია, რომ სააკაშვილს გარკვეული რაოდენობის მომხრეები, უკრაინელ სასულიერო პირებს შორისაც მოეძებნება. ამდენი ხნის განმავლობაში რებუსად რჩება, ვის იმედადაა გულმოცემული სააკაშვილი უკრაინაში, თავის „მშობლიურ“ მიწაზე, როგორადაც იგი უკრაინას მოიხსენიებს?

— სააკაშვილს ჰყავს მცირე ტიპის მომხრეები, რომლებიც კარგად ჩანდნენ „იუთუბზე“. სააკაშვილი გახდა ერთი დღის გმირი, მეტი არაფერი. უკრაინაშიც კი, სადაც იგი რეფორმატორად ჩავიდა, თავი გამოიჩინა ანტირეფორმატორად. ფაქტობრივად, მისი რეიტინგი იყო 3%, ეს მაჩვენებელი შალვა ნათელაშვილის რეიტინგსაც ვერ უტოლდება. „გირჩის“ რეიტინგსაც კი ვერ ქაჩავს.

მიკვირს, პოლიტიკური მითოლოგიებით რომ აბოლებენ სააკაშვილის მომხრეები ხალხს. ეს იგივეა, როგორც პინოქიო აბოლებდა თავის მეგობრებს და ირგვლივ მყოფ ადამიანებს. თავის დროზე სააკაშვილს „პოლიტიკური პინოქიო“ ვუწოდე და არ შევმცდარვარ, რადგან პინოქიობას დღევანდელ ვითარებაშიც აგრძელებს. სააკაშვილს არანაირი შანსი არ აქვს, გახდეს უკრაინის პრეზიდენტი. მისი გუბერნატორობაც მაქსიმუმზე მაქსიმუმი იყო. თუნდაც იმიტომ ვერ გახდება უკრაინის პრეზიდენტი, რომ მას არ გააჩნია საცხოვრებელი ცენზი, არ გააჩნია მოქალაქეობა, არაპოპულარულია. იგი გახლავთ „მარიონეტკა“ და მას კარგად იყენებს ნალივაიჩენკო და ტიმოშენკო. სწორედ ამ ტროას ცხენის მეშვეობით სურს ტიმოშენკოს, შევიდეს უკრაინის პოლიტიკაში. მიუხედავად ტიმოშენკოს მაღალი რეიტინგისა, ის მაინც მეორე ადგილზეა და რეალური მხარდამჭერები არ ჰყავს. ტიმოშენკოს მხოლოდ იმის გამო გააჩნია რეიტინგი, რომ იგი ოპოზიციაშია. როგორც კი მოვა ხელისუფლებაში, ტიმოშენკოს რეიტინგი ეგრევე ნულამდე დაეცემა.

— სწორედ ტიმოშენკოს გაუწია დათვური სამსახური სააკაშვილმა საქართველოდან უკრაინაში წარგზავნილი დესანტის გადასხმით, რომელსაც გივი თარგამაძე ხელმძღვანელობდა. იმ პერიოდში ქართველმა ზონდერჯგუფებმა ქულები დააკარგვინეს ტიმოშენკოს. ხელმეორედ რატომ უშვებს შეცდომას ტიმოშენკო?

— ტიმოშენკოსა და სააკაშვილს შორის მტრობა არ დასრულებულა. უნდა გენახათ, როგორ უყურებდა ტიმოშენკო, როცა ის სააკაშვილს ხვდებოდა პოლონეთში. მიმიკური, ფსიქოლოგიური ჟესტებით რომ ვისაუბროთ, ტიმოშენკო ისევე მიესალმა სანდრას, როგორც მე მივესალმებოდი სააკაშვილს, ან კიდევ, როგორც ივანიშვილი ესალმებოდა სააკაშვილს, როცა ივანიშვილი გახლდათ პრემიერი, ხოლო სააკაშვილი — პრეზიდენტი და ისინი ვალდებული იყვნენ ერთმანეთთან კომუნიკაცია ჰქონოდათ. ტიმოშენკოსა და სანდრას შორის არავერბალური კომუნიკაცია ჩემთვის უფრო მეტს ნიშნავდა. ამდენად, სააკაშვილი მხოლოდ უვარგისი გამწევი ძალა, უვარგისი ლოკომოტივია. მან გადაიფიქრა კიევში ჩასვლა, რადგან იცის, რომ კიევში აბსოლუტურად წააგებს. მან დასავლეთ უკრაინაშიც ვერ შეძლო თავისი მომხრეების მობილიზაცია.

— მიუხედავად ამისა, 19 სექტემბერს კიევის მფარველი მიქაელ მთავარანგელოზის დღეს აპირებდა კიევის გადარჩენას ბოროტებისგან ისევე, როგორც საქართველოში წმინდა გიორგის თარილებს ამთხვევდა ყველა ღირსშესანიშნავ ღონისძიებას.

— დიახ, მაგრამ მან მოიარა უკრაინა, მომხრეები ვერ მიიზიდა. მხოლოდ ივანოფრანკოვსკის საბჭომ, ანუ ერთმა ადგილობრივმა თვითმმართველობის ორგანომ დაუჭირა მხარი, რომელსაც არანაირი გავლენა არ გააჩნია. თავად ამ საბჭოს დღეები დათვლილია და თავისი მოსახლეობაც უნდობლობას უცხადებს. ასეთ მარგინალურ ტიპებთან გააბა სააკაშვილმა ურთიერთობა. ფაქტობრივად, მან თავი შეჰყო ხაფანგში, ტაქტიკურ დონეზე მოიგო, სტრატეგიულად კი წააგო. ეს იმითაც გამოიხატება, რომ ლვოვის საქალაქო საბჭომ ის ბრალდება, რომელიც წაყენებული ჰქონდა დავით საყვარელიძეს, ანუ სააკაშვილის მარჯვენა ხელის ბიჭს, დაადასტურა.

ფაქტია, სააკაშვილმა თავისი მომხრეები დარტყმის ქვეშ დააყენა, ბევრი მისი მომხრე, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ ე.წ. გარღვევაში, დღეს დაპატიმრებულია. სააკაშვილს იმის შნოც არა აქვს, ეს ადამიანები გამოიხსნას, მას არც აინტერესებს საკუთარი თანამებრძოლები. მან ხომ თხასავით გაყიდა უახლოესი მეგობარი მერაბიშვილი, ძმები ახალაიები, გიგი უგულავა, რომელმაც ამიტომაც უწოდა სააკაშვილს პოლიტიკური ჯართი, რომ სააკაშვილმა იგი გაწირა. ასევე, გაწირავდა ის საკუთარ დედასაც და ცოლ-შვილსაც, რადგან მან თავისი პატარა ბიჭი დარტყმის ქვეშ დააყენა და იქ რა მოხდებოდა, არავინ იცის. იქ რომ ამტყდარიყო სროლა, ნასროლი ვისკენ წავიდოდა, არავინ იცის.

— ეს გაწირვა უფრო იყო, თუ გარანტიების მიცემა სააკაშვილისთვის? საქართველოში ბევრს საუბრობენ სააკაშვილ-პოროშენკოს ალიანსზე.

— ეს არავითარი ალიანსი არ არის. უბრალოდ, პოროშენკო დადგა ამ მდაბიოზე მაღლა და ცეცხლის გახსნის ბრძანება არ გასცა, რათა სისხლი არ დაღვრილიყო. პოროშენკოს მეტი სამოქალაქო და პოლიტიკური პასუხისმგებლობა გააჩნია. რაც შეეხება ტიმოშენკოს, ის ავანტიურისტი და ისეთივე ნაძირალა პოლიტიკოსია, როგორიც სააკაშვილი. ქალმა, რომელიც ანტირუსული ისტერიკით გახდა პრემიერ-მინისტრი, ბოლოს საკუთარი სამშობლო გაყიდა რუსულ „გაზპრომზე“. იანუკოვიჩი იძულებული იყო, დაეპატიმრებინა ტიმოშენკო, თორემ ეს ქალბატონი არავითარი პოლიტპატიმარი არ ყოფილა, ის მართებულად დაიჭირეს. მან ხომ, ფაქტობრივად, „გაზპრომს“ მიჰყიდა მთელი სტრატეგიული საკომუნიკაციო სისტემები, სტრატეგიული ობიექტები.

—ფაქტია, რომ უპასპორტო ადამიანი, რომელიც ირწმუნება, რომ პასპორტი მოპარეს, უკრაინაში თავისუფლად გადაადგილდება. აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვა, ხომ არ მოხდება უსუსურად წარმოჩენილი პოროშენკოს ჩანაცვლება?

— შესაძლოა, უკრაინის სასამართლომ სააკაშვილის დეპორტაციის გადაწყვეტილება მიიღოს, მას გააპანღურებენ უკან, საიდანაც მოვიდა. სააკაშვილი ხელმეორედ ველარ შევა იმ ე.წ. ტრიუმფით, როგორც კეისარი შევიდა რომში...

— ანუ აეროპორტის ტერმინალშიც ველარ იცხოვრებს, როგორც ირწმუნებოდა? მაგრამ სად გაუშვებენ?

— მას გააპანღურებენ და ამით მორჩება სააკაშვილის პრობლემა. სხვათა შორის, ამით სააკაშვილმა პოროშენკოს კარგი საქმე გაუკეთა. ფაქტობრივად, პოროშენკომ მოახერხა, მოეხდინა თავისი მოწინააღმდეგეების გაუვნებელყოფა. სააკაშვილი პოროშენკოსთვის არაფერია. მთავარია, რომ უკრაინის პრეზიდენტმა ხალხს დაანახვა, რომ ტიმოშენკო, ნალივაიჩენკო და ძმანი მათნი სახელმწიფო საზღვრის შემლახავები არიან და მათ თავიანთ რეიტინგს დარტყმა მიაყენეს.

პოროშენკომ 5 წუთში გააუვნებელყო სააკაშვილი, ის ჯერ შეიყვანა თავის საზღვარზე, ხელი არ ახლო, მაგრამ მის ირგვლივ ყველანი დაიჭირა, მათ შორის, საყვარელიძეც უკვე ტაფაზეა შემოდებული და, როგორც კეზერაშვილი, უგულავა, ბოკერია გადაუდგნენ სააკაშვილს და გახდნენ მისი პირადი მტრები, ასევე, სხვებიც ხელიდან ეცლებიან. მათ შორის, გია გეწაძე, სააკაშვილის მიერ გაპიარებული ერთგული მონა, დღეს პოროშენკოს მონაა. იგი სააკაშვილს კიევშივე გადაუდგა და ჩვენ ვიხილეთ, როგორ აგინებდა გეწაძე სააკაშვილს.

იანუკოვიჩის მიერ თავის დროზე დაჭერილ ტიმოშენკოს კიდევ ჰქონდა რეიტინგი, ის იყო საშიში მოწინააღმდეგე. ამიტომაც იანუკოვიჩმა გამოიყენა „გაზპრომის“ საქმე და ტიმოშენკო მოიშორა. აბა, ტიმოშენკოს რომ არ ჰქონოდა რეიტინგი, დაიჭერდნენ? რა თქმა უნდა, -არა. სააკაშვილი კი ვის რაში სჭირდება? ამიტომ გააპანღურებენ. ამით სააკაშვილის ფიგურა დასრულდება. სამაგიეროდ, მის მომხრეებს სასტიკად დასჯიან.

— მაგრამ კიდევ ერთი დიდი „მოაზროვნე“ — ვლადიმერ ჟირინოვსკი სააკაშვილის ენერგეტიკას სტალინისა და ორჯონიკიძის ენერგეტიკას ადარებს და მიიჩნევს, რომ სააკაშვილი პოროშენკოსაც ჩააჩოჩებს, ავაკოვსაც, რადგან უკრაინელები მასში დემოკრატ სტალინს ხედავენ. ჟირინოვსკისეული შეფასება რეალურად კრემლის მოსაზრების გახმიანებაა სააკაშვილის შესახებ?

— როგორც ვიცი, ისინი უახლოესი ძმაკაცები არიან. 2006 წლის მაისში ნატოს საპარლამენტო ასამბლეაზე პირადად ვნახე, როგორ გადაეხვია ჟირინოვსკი სააკაშვილს, ორივემ საღამოს ერთად ივახშმეს და წავიდნენ ქალებში. ახლაც, ჟირინოვსკი ახმიანებს კრემლის მოსაზრებებს, რადგან კრემლს აწყობს სააკაშვილის ტროას ცხენის იმპლანტაცია. შემთხვევითი არ არის, რომ სააკაშვილის გარშემო დონბასის მებრძოლები იყვნენ, ნალივაიჩენკო, რომელიც გამოაგდეს, რადგან მან სახელმწიფო საიდუმლოება გათქვა და ტიმოშენკო, რომელმაც ითამაშა რუსული „გაზპრომის“ თამაში. მოსკოვს უნდა, რომ ტიმოშენკო უკრაინის ხელისუფლებაში მოიყვანოს. შემთხვევითი არც ის არის, რომ ტიმოშენკოს პარტიაში შევიდა ნადეჟდა სავჩენკო, რომელიც იყო უკრაინის გმირი და დღეს ლაპარაკობს, რომ თურმე რუსეთთან უნდა მოხდეს პირდაპირი მოლაპარაკების დაწყება. რა თამაშს თამაშობს სავჩენკო, არავინ იცის. ამდენად, დღეს ტიმოშენკო, ნალივაიჩენკო და სააკაშვილი კარგად შენიღბული კრემლის ტროას ცხენები არიან.

— ხომ არ იწურება უკრაინაში უცხოელების მიმართ ზედმეტად მინდობის ხანა?

— საიდან მიიღო სააკაშვილმა ფინანსური დახმარება? როგორც ჩანს, ეს ფული მას მისცა უნგრეთის პრემიერმა ურბანმა. უნგრეთიდან ის გადავიდა პოლონეთში და იქიდან დაიწყო სვლა. როგორც კი სააკაშვილი გადავიდა უკრაინაში, უნგრეთმა იმავე დღეს, როცა სააკაშვილმა გადალახა საზღვარი, უკრაინას ულტიმატუმი წაუყენა, გამოუცხადა დიპლომატიური ომი. უნგრულმა მხარემ აღნიშნა, რომ ამიერიდან უნგრეთი არც ერთ საერთაშორისო არენაზე აღარ დაეხმარება უკრაინას და კატეგორიულად მოსთხოვა ენის შესახებ კანონის გაუქმება.

ამ მოვლენებიდან სამი კვირით ადრე კი უნგრეთში ჩასული იყო ვლადიმერ პუტინი, რომელიც დახურულ კარს მიღმა სამი საათი ესაუბრა ბატონ ურბანს. სწორედ იმ პერიოდში უნგრეთში ჩადის მიხეილ სააკაშვილი. ეს არის მთელი კომბინაციური სქემა. ასე რომ, უკრაინელები „ჰეროკრატიას“ გვირგვინივით დაადგამენ თავს სააკაშვილს, იმიტომაც აჩვენებენ მის რეპრესიულ პერიოდს. შესაძლოა, „ჰეროკრატიაც“ აღარ დასჭირდეს, მისი რეიტინგი ისედაც დაცემულია.

მანანა ნოზაძე

სააკაშვილი ჯარიმას სასამართლოში ასაჩივრებს

ოდესის ყოფილი გუბერნატორის მიხეილ სააკშვილის ადვოკატი პაველ ბოგომაზოვი აცხადებს, რომ ლვოვის ოლქის მოსტინსკის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც სააკაშვილს საზღვრის უკანონო კვეთისთვის 3400 გრივნის ჯარიმა დაეკისრა, სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებს. სააკაშვილის დაჯარიმების შესახებ სასამართლომ გადაწყვეტილება 2 დღის წინათ გამოიტანა.



„პეტრო პოროშენკო აპირებს, მოქალაქეობა ჩამომართვას“

უკრაინული პარტია „ახალი ძალების“ ერთ-ერთი ლიდერის დავით საყვარელიძის ინფორმაციით, უკრაინის პრეზიდენტი მისთვის უკრაინის მოქალაქეობის ჩამორთმევას აპირებს:

„ამ წუთას მივიღე არაოფიციალური და ჯერ დაუზუსტებელი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პეტრო პოროშენკო აპირებს მოქალაქეობა ჩამომართვას მე და კიდევ რამდენიმე მისდამი არალოიალურ პირს მათი რიცხვიდან, ვისაც ორი წლის წინათ ეს მოქალაქეობა მანვე მოგვანიჭა. მე ძალიან მაშინებს ჩვენი ქვეყნის ბედი, რომელსაც კლინიკური პარანოიით დაავადებული ადამიანი მართავს. ეს ადამიანია მთავარსარდალიც, კონსტიტუციის გარანტიც და ომის მონაწილე ქვეყნის ლიდერიც. არ დაგიმალავთ, მე ველოდებოდი მოვლენების ასეთ განვითარებას, მაგრამ ბოლო მომენტამდე ვფიქრობდი, რომ პოროშენკო საკუთარი იმიჯისა და რეპუტაციისთვის ასეთ მავნე გადაწყვეტილებას არ მიიღებდა. ადამიანის სახელმწიფოსთან დამაკავშირებელი ყველაზე მთავარი სიმბოლოს — პასპორტისა და მოქალაქეობის - ფეხქვეშ გათელვა — ძალიან ცუდი საქციელია. ეს არ შეშვენის არც მამაკაცს, არც პრეზიდენტს და არც მთავარსარდალს.

ვიდრე ხელისუფლებაში ღირსეული ხალხი არ მოვა და ქვეყანაში სამართლიანი სასამართლო არ შეიქმნება, მე იძულებული ვიქნები მოქალაქეობის აღდგენისთვის ახლანდელ ფსევდოდემოკრატიულ სასამართლოებში ვიბრძოლო“, — წერს დავით საყვარელიძე.

უგუნური ეგოისტი...

სააკაშვილში შერწყმულია მაღალი პრინციპები და მანიაკური პირადი ამბიციები...

„გადაეცით მიხეილ სააკაშვილს: მამაკაცები არ ნებდებიან“. საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა თავისი მმართველობის მღელვარე 9-წლიანი პერიოდი ჯერ კორუფციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლით დაიწყო, შემდეგ ხანმოკლე, მაგრამ დამანგრეველი ომი ჰქონდა რუსეთთან, ბოლოს კი მისი პრეზიდენტობის ვადა სახელმწიფო ბიუჯეტის დატაცებისა და ავტორიტარიზმში ბრალდებებით დასრულდა. დღეს მიხეილ სააკაშვილი მზადაა ხელისუფლებაში დაბრუნდეს — ოღონდ არა თავის ქვეყანაში, არამედ — უკრაინაში“ — ამის შესახებ ბრიტანულ გამოცემა „The Spectator“-ის მიერ ოუენ მეთიუზის ავტორობით გამოქვეყნებულ სტატიაშია საუბარი.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ სტატიის ქართულენოვან ვერსიას მცირე შემოკლებით:

მიხეილ სააკაშვილი გენიალური და წინააღმდეგობრივი პიროვნებაა. ბევრი მისი თაყვანისმცემელი — ძირითადად, განათლებული ახალგაზრდა ქართველები და უკრაინელები — მასში მოაზროვნე, წინდახედულ და უშიშარ ლიდერს ხედავენ, რომელსაც იმ ნეპოტიზმის კვანძის გადაჭრა შეუძლია, რომელმაც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები კლეპტოკრატიულ ავტოკრატიებად გადაქცია. **სკეპტიკოსების თვალში, რომლებიც ასი ათასობით სამსახურიდან გათავისუფლებული ჩინოვნიკები არიან, მიხეილ სააკაშვილი არის უგუნური ავანტიურისტი, რომელმაც 2008 წელს რუსეთთან ომის პროვოცირება მოახდინა საქართველოს ჩამოშორებულ ტერიტორიებზე — აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. მათ ასევე მიაჩნიათ, რომ მიხეილ სააკაშვილი ყელ-ყელა და ტრაბახა ადამიანი, რომელსაც ყველაზე მეტად თვითრეკლამა და საკუთარი თავის პიარი აინტერესებს, ვიდრე სხვა დანარჩენი.**

მე გარკვეული პერიოდის განმავლობაში მქონდა მიხეილ სააკაშვილთან ურთიერთობა და იმის შესაძლებლობა, რომ მასზე დაკვირვება მომეხდინა ჯერ საპრეზიდენტო სასახლეში, თბილისში, რუსეთთან ომის დღეებში, როცა სხვა კორესპონდენტებთან ერთად, წითელ ღვინოს ვწრუპავდი და შეუსვენებლივ ვიწერდი ყველაფერს, რასაც იგი რატრატებდა, შემდეგ კი ნიუ-იორკში, როცა პრეზიდენტობის ვადის ამოწურვის შემდეგ იგი უილიამსბურგელ ჰიპსტერად იქცა. ჰოდა, მივედი დასკვნამდე, რომ ორივე მხარე თავიანთ შეფასებებში მართლები არიან. **მიხეილ სააკაშვილში ერთმანეთთანაა შერწყმული მაღალი პრინციპები და მანიაკური პირადი ამბიციები, დაუფიქრებლობა და მტკიცე რწმენა საკუთარ თავში, რაც მას თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე შთაგონებულ და არასრულყოფილ პოლიტიკურ მოღვაწედ წარმოაჩენს.**

მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს პრეზიდენტის პოსტი 2013 წელს დატოვა, ანუ მას შემდეგ, რაც მისმა ოდესღაც პოპულარულმა პარტიამ — „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ საპარლამენტო არჩევნებში გამანადგურებელი დამარცხება იგემა. ახალმა **რეჟიმმა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებაში „ნაცმოძრაობის“ მმართველობის შემდეგ მოვიდა, მიხეილ სააკაშვილს ბრალდებები კლასიკურ პოსტსაბჭოურ სტილში წაუყენა (ბიუჯეტის განიავება და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად სარგებლობა), შემდეგ მას ქვეყნის მოქალაქეობაც ჩამოართვა. ექსპრეზიდენტმა პოლიტიკური კარიერის გაგრძელების შანსი 2015 წელს მიიღო, როცა უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ** (მეტსახელად — „შოკოლადის მილიარდერმა“) მიხეილ სააკაშვილს ოდესის ოლქის გუბერნატორობა შესთავაზა.

უკრაინა მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე კორუმპირებული სახელმწიფოა, რომელიც, Transparency International-ის შეფასებით, მსოფლიოს 176 ქვეყანას შორის, კორუფციის ინდექსის მიხედვით, რუსეთთან ერთად, მსოფლიოში 131-ე ადგილზეა. თავის მხრივ, უკრაინის ყველაზე კორუმპირებულ რეგიონად კი სწორედ ოდესის ოლქია აღიარებული. ეს მრავალეროვნული ქალაქი დაარსებიდანვე (1794 წლიდან), ყველა დროში და ეპოქაში ცნობილი იყო დამნაშავეობის მაღალი დონით. **მიხეილ სააკაშვილმა, როგორც „სამართლიანმა შურისმაძიებელმა“, იოლად გაიმარჯვა ოდესელ ჯიბგირებსა და თაღლითებზე. ამის გამოცდილება ჰქონდა:** მან ჯერ კიდევ საქართველოს პრეზიდენტობის პერიოდში განახორციელა საგზაო პოლიციის რეფორმა (ყველა ოფიცრის სამსახურიდან გათავისუფლებით), შემდეგ კი კორუმპირებული ადამიანებისაგან გაწმინდა ფოთის პორტი (საბაჟო გადასახადების დროებითი გაუქმების გზით).

მიხეილ სააკაშვილი თვლიდა, რომ „ნულოვანი ტოლერანტობის“ ქართული პრაქტიკა ოდესის ოლქშიც იმუშავებდა: მაფიის მიერ კონტროლირებული ნავსადგურის უფროსად მან 27 წლის ქალი, პოლიტიკურად აქტიური იულია მარუშევსკაია დანიშნა და საბაჟო გადასახადებზე თვალის დევნების მიზნით, მაღალტექნოლოგიური სისტემა შექმნა. ოდესის პოლიციის უფროსად, მიხეილ სააკაშვილის რეკომენდაციით, დაინიშნა მისი ძველი მოკავშირე, ეროვნებით ქართველი გიორგი ლორთქიფანიძე. ოდესის ოლქის გუბერნატორმა ანტიკორუფციულ ბრძოლაში დასახმარებლად მიიწვია აგრეთვე უცხოელი მრჩევლებიც, მათ შორის ლონდონის პოლიციიდან და ევროკავშირის სასაზღვრო საგენტოდან. სწორედ იმ ხანებში განაცხადა ოპტიმისტურად ბრიტანულ-უკრაინული საერთაშორისო სააგენტო ფორბსმა, რომ „ოდესა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ ქალაქად გადაიქცევაო“. მაგრამ ეს არ მოხდა. **2016 წლის ნოემბერში მიხეილ სააკაშვილმა და გიორგი ლორთქიფანიძემ თავიანთი თანამდებობები დატოვეს და განაცხადეს, რომ ოდესელი სინდიკატების წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში მათ ძალისხმევას პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო აბრკოლებდა.**

პეტრო პოროშენკო, დაცემული რეიტინგისა და დონბასელ სეპარატისტებთან ბრძოლის პირობებში, არჩევანის წინაშე დადგა: ან კრიმინალური კლანების წინააღმდეგ გამოსულიყო (რომლებიც მისი პოლიტიკური მოკავშირეებიც იყვნენ), ან მხარი დაეჭირა მიხეილ სააკაშვილისათვის (რომელიც სხვადასხვა სტრუქტურების რეორგანიზაციას ითხოვდა). პეტრო პოროშენკომ პოლიტიკური მიზანშეწონილება არჩია. მოგვიანებით პრეზიდენტმა თავის „ყოფილ უნივერსიტეტელ მეგობარ“ მიხეილ სააკაშვილს, როცა იგი აშშ-ში გაემგზავრა, გაურკვეველ ფორმალურ-იურიდიულ საფუძველზე მოქალაქეობა ჩამოართვა. იმ დროიდან ექსგუბერნატორი ფორმალურად მოქალაქეობის არმქონე პირად დარჩა.

რასაკვირველია, მიხეილ სააკაშვილს შეეძლო პოლიტიკური თავშესაფარი ეთხოვა ყოველ მისთვის სასურველ ქვეყანაში — მას ხომ უამრავი გავლენიანი მოკავშირე ჰყავს, ამერიკელი სენატორის ჯონ მაკკეინის ჩათვლით, რომელიც საკუთარ თავს ქართველად მიიჩნევს, მაგრამ ექსგუბერნატორმა გადაწყვიტა უკრაინის პოლიტიკაში დაბრუნებულიყო, რაც განახორციელა კიდეც: მოქალაქეობის არმქონე მიხეილ სააკაშვილმა, თავის მხარდამჭერებთან ერთად, მესაზღვრეებისა და პოლიციის წინააღმდეგობის მიუხედავად, უკრაინის საზღვარი გადალახა და ქვეყნის ტერიტორიაზე დაბრუნდა. მისი მტკიცებით, რომელშიც სიმართლის კვალი მართლაც არის, მოქალაქეობა უკანონოდ ჩამოართვეს და ამიტომ თავისი უფლებების აღდგენას სასამართლოს გზით ცდილობს. თუმცა იმავდროულად იგი დიდ რისკზეც წავიდა, რადგან საქართველოს პროკურატურა უკრაინისაგან ექსპრეზიდენტის ექსტრადიციას ითხოვს (თვითონ მიხეილ სააკაშვილი წაყენებულ ბრალდებებს „პოლიტიკურად მოტივირებულს“ უწოდებს). მართალია, უკრაინის გენპროკურორმა უკვე განაცხადა, რომ იგი ექსტრადირებული არ იქნება, მიხეილ სააკაშვილის ბედი მაინც ადგილობრივ პოლიტიკურ სიტუაციაზეა დამოკიდებული.

საქმე ის არის, ეყოფა თუ არა „გამბედაობა“ პეტრო პოროშენკოს, რომ მიხეილ სააკაშვილი ტანჯულ და მოწამეობრივ ფიგურად გადააქციოს, საკუთარი თავი კი — საერთაშორისო დონეზე გარიყულად? პრეზიდენტს ძალიან სჭირდება ეკონომიკური დახმარება ევროკავშირისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან და თუ **პეტრო პოროშენკო მიხეილ სააკაშვილს — დასავლეთის ესოდენ საყვარელ ადამიანს — საპყრობილეში ჩასვამს, პრეზიდენტი ამ მოქმედებით საკუთარ ავტორიტეტსაც გაანადგურებს. უკრაინის პრეზიდენტს აშშ-ის მხარდაჭერაც სურს, ვაშინგტონისაგან იარაღის მიღება უნდა („რუსი ოკუპანტების წინააღმდეგ საბრძოლველად“) და თუ იგი მიხეილ სააკაშვილს დაიჭერს, მის გეგმებს განხორციელება არ უწერია.**

მაგრამ უფრო რთული გამოცანაა, მოახერხებს თუ არა მიხეილ სააკაშვილი თავისი მკვეთრი და აგრესიული ქცევით წარმატების მიღწევას? გაიმარჯვებს თუ არა იგი „ჯვაროსნულ ლაშქრობაში“ და გადაქცევს თუ არა უკრაინას მაფიოზური ქვეყნიდან აყვავებულ ევროპულ სახელმწიფოდ? ივლისში მიხეილ სააკაშვილმა პოლიტიკური პარტია შექმნა, რომლის მიზანს კორუფციასთან ბრძოლა წარმოადგენს. ამ ფაქტმა, მიუხედავად იმისა, რომ პარტიას დაბალი რეიტინგი აქვს, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პეტრო პოროშენკოს გადაწყვეტილებაში „აჯანყებული მეგობრის“ წინააღმდეგ. სამაგიეროდ, მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ იგი პეტრო პოროშენკოს მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში დაუპირისპირდებოდა.

სასწორზე უფრო დიდი რამ არის დადებული, ვიდრე მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური კარიერა და თავისუფლება. **დასავლეთის საგარეო პოლიტიკის ვექტორი, ცივი ომის დასრულების დროიდან, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ, გამოიხატებოდა კანონის უზენაესობის წახალისებაში, რეფორმების ხელშეწყობასა და დემოკრატიის წინსვლაში. უკრაინაში და საქართველოში მომხდარმა „ფერადმა რევოლუციებმა“ დაადასტურა, რომ მოსახლეობას არ სურს რუსეთისაგან მხარდაჭერილი კორუმპირებული რეჟიმები და ისინი უპირატესობას შედარებით კეთილსინდისიერ პროევროპულ და პრონატოურ მთავრობებს ანიჭებენ.**

მართალია, რომ რევოლუციების შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა (რუსეთის აშკარა ჩარევით) ხალხის იმედგაცრუება გამოიწვია... მაგრამ თუ ჯერ კიდევ არის რაიმე იმედი იმისა, რომ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების მოსახლეობამ „ადამიანურად იცხოვროს“, მაშინ ისეთმა რეფორმატორებმა, როგორიც მიხეილ სააკაშვილია, წარმატებას უნდა მიაღწიონ. **მიხეილ სააკაშვილი შეიძლება უგუნური ეგოისტია, მაგრამ იგი ყველა შემთხვევაში, სხვებთან შედარებით უფრო ახლო დგას ევროპელ დემოკრატებთან, რომლებიც ულტრანაციონალიზმის, კლეპტოკრატიისა და რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ იბრძვიან.**

„The Spectator“ **(დიდი ბრიტანეთი)**

სირიაში რუსი გენერალი მოკლეს!

სირიაში **რუსი გენერალ-ლეიტენანტი ვალერი ასაპოვი მოკლეს. ასაპოვი იმ დროს დაიღუპა, როდესაც ისლამური სახელმწიფოს ტერორისტებმა სირიის სამთავრობო ჯარების სამეთაურო პუნქტზე საარტილერიო შეტევა მიიტანეს. ასაპოვი ამ დროს შენობაში იმყოფეობდა. რუსი გენერალი სირიის სამთავრობო ჯარებს ქალაქ დეირ ეზ -ზორის გათავისუფლების ოპერაციის გეგმის განხორციელებაში ეხმარებოდა. „კომერსანტის“ ინფორმაციით, ჭურვი პირდაპირ გენერალს მოხვდა და აფეთქების შედეგად მისგან არაფერი დარჩა.**

გასული საუკუნის 90-იან წლებში ასაპოვი ჩეჩნეთის ოპერაციაში მონაწილეობდა. 1985 წელს ის გროზნის ბატალიონის შტაბის წევრი იყო. ასაპოვი ოკუპირებულ აფხაზეთში ე.წ. სამშვიდობო ძალების შემადგენლობაშიც მსახურობდა და ის რუსეთის თავდაცვის სამინისტორს სამხრეთის ოლქში მოტომსროლელ ბრიგადას ხელმძღვანელობდა. უკრაინული მედიის ინფორმაციით, 2016 წლის მარტში ასაპოვი დონეცკშიც იბრძოდა .

ოფიციალური მონაცემებით, ამ დროისთვის სირაიში დაწყებული სამხედრო ოპერაციის მიმდინარეობისას 36 რუსი სამხედროა მოკლული.

რას იზამს საქართველო?

ამერიკა და ნატო ავღანეთში კონტინგენტს ზრდიან

ავღანეთში კონტინგენტის გაზრდის გადაწყვეტილება აშშ-ის შემდეგ, ნატომაც მიიღო. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივანი ამბობს, რომ ავღანეთის ძალების საწვრთნელ მისიაში მონაწილე ნატოს სამხედროების რაოდენობა რამდენიმე ათასით გაიზრდება. იენს სტოლტენბერგი აღნიშნავს, რომ ალიანსის რამდენიმე მოკავშირე და პარტნიორმა სახელმწიფომ უკვე განაცხადა, რომ ისინი მისიაში დამატებით სამხედროებს ჩართავენ.

„ამჟამად ჩვენ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პროცესში ვიმყოფებით. ეს გადაწყვეტილება ემსახურება იმას, რომ ავღანეთი არასდროს გახდეს საერთაშორისო ტერორისტებისთვის თავშესაფარი. ამისთვის საუკეთესო გზაა, ავღანელებს მივცეთ საშუალება, ჰყავდეს ძლიერი უსაფრთხოების ძალები. არ ვფიქრობ, რომ ეს მარტივი ამოცანაა, მაგრამ მტკიცედ მჯერა, რომ ავღანეთში საბრძოლველად ნატოს ძალების გაგზავნის ნაცვლად, საუკეთესო გზა, ავღანური ძალების წვრთნაა“, — განაცხადა იენს სტოლტენბერგმა.

შეგახსენებთ, რომ 22 აგვისტოს აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ავღანეთის საკითხთან დაკავშირებით თეთრი სახლის ახალი სტრატეგია წარადგინა. განცხადების თანახმად, აშშ ავღანეთში დამატებით 3 500 სამხედრო მოსამსახურეს აგზავნის.

ამდენად, ამერიკული სამხედრო კონტინგენტი ისლამურ რესპუბლიკაში 14.5 ათას ადამიანი იქნება. 31 აგვისტოს აშშ-ს თავდაცვის მდივანმა ჯეიმს მეტისმა ხელი მოაწერა ბრძანებას ავღანეთში არმიის შენაერთების გაგზავნის თაობაზე.ეს ქმედებები სამხრეთ აზიის სამოქმედო სტრატეგიის ფარგლებში ხორციელდება, რომელიც აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა დაამტკიცა.

როგორც ცნობილია, 2014 წელს ობამას ადმინისტრაციამ ავღანეთიდან ამერიკული სამხედრო კონტინგენტის უმეტესი ნაწილი გაიყვანა. 2014 წლამდე ავღანეთში 100,000 ამერიკელი ჯარისკაცი იმყოფებოდა. დღეს იქ 8,500 ამერიკელი მსახურობს. ნატოს საერთაშორისო მისიის შემადგენლობაში 13,000 ჯარისკაცია. აშშ ავღანეთში 15 წელია, იბრძვის. აშშ-ის არმიის გენერალ ჯონ ნიკოლსონის განცხადებით, გასულ წელს რუსეთმა თალიბანის აქტიური მხარდაჭერა დაიწყო, რადგან, მოსკოვის მტკიცებით, თალიბანი ე.წ. ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ იბრძვის.

„რუსეთი თალიბანის ლეგიტიმაციას ცდილობს. ის ამბობს, რომ თალიბანი ისლამურ სახელმწიფოს ებრძვის, ავღანეთის მთავრობა კი ? არა. ეს მცდარი განცხადებაა. ავღანეთის მთავრობა ISIS-თან ბრძოლაში წარმატებულია. ავღანეთისთვის უმთავრესი გამოწვევა ირანისა და რუსეთის მცდელობებია, ძირი გამოუთხარონ ავღანეთის ცენტრალურ ხელისუფლებას. ირანი თალიბანს ავღანეთის დასავლეთ, რუსეთი კი ჩრდილოეთ პროვინციებში ეხმარება. რუსეთისა და ირანის აქტიურობა ავღანეთში გავლენის სფეროების მოპოვებასა და ამერიკის როლის შესუსტებას ისახავს მიზნად“, — განაცხადა ჯონ ნიკოლსონმა.

რაც შეეხება მოკავშირე ქვეყნებს, რომლებიც ამერიკის მხარდამხარ ავღანეთში იბრძვიან, ალიანსის არაწევრ სახელმწიფოებს შორის საქართველოს ავღანეთში ყველაზე მეტი ჯარისკაცი ჰყავს განთავსებული. მიუხედავად იმისა, რომ ავღანეთში კონტინგენტის გაზრდის გადაწყვეტილება აშშ-მა და ნატომ უკვე მიიღეს, ჯერჯერობით უცნობია გაზრდის თუ არა სამხედრო კონტიგენტს საქართველო. პარლამენტის ვიცე-სპიკერი გია ვოლსკი ამბობს, რომ საქართველოს მხრიდან ავღანეთში კონტინგენტის გაზრდა დამოკიდებულია იმაზე, სამხედრო კოალიცია რამდენად და როგორ აფასებს იმ ამოცანებს, რაც ქართული მხარის წინაშეც დგას.

„რაოდენობასთან დაკავშირებით ვერაფერს გეტყვით, მაგრამ არ მინდა, ეს საკითხი წმინდა პოლიტიკურ ჭრილში გადავიყვანო, რადგან ჩვენ საგანგებო მისიას ვასრულებთ და ვიცავთ არა მხოლოდ საერთაშორისო წესრიგს, არამედ ჩვენს ოჯახებს, საქართველოს უსაფრთხოების ინტერესებს“, — აცხადებს გია ვოლსკი.

სამხედრო ანალიტიკოსი, ანალიტიკური საბჭოს მკვლევარი ზურაბ აგლაძე ამბობს, რომ საქართველო, როგორც არაწევრი ქვეყანა, ამ ეტაპისთვისთვის მაღალი პროცენტულობით არის წარმოდგენილი ავღანეთში საერთაშორისო მისიაში. შესაბამისად, კონტინგენტის გაზრდას, თუნდაც რამდენიმე ასეული ჯარისკაცით, საქართველოს ამ ეტაპისთვის ვერ შეძლებს.

მისი თქმით, საქართველოში საერთაშორისო სწავლებები იწყება, შესაბამისად, ქვეყანა იმდენად ვერ გაზრდის კონტინგენტს, რომ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ავღანეთში საერთაშორისო ოპერაციაში.

„კონტინგენტის მცირედით გაზრდას კი, არავითარი ეფექტი არ ექნება. არ ვფიქრობ, რომ ჩვენ ამ ეტაპისთვის შევძლებთ კონტინგენტის გაზრდას. ალბათ, ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ უნდა დაიწყოს საერთაშორისო სწავლებები. კერძოდ, ამერიკელები საქართველოში ცხრა სამხედრო ბატალიონს მოამზადებენ.

ჩვენ არ გვყავს იმდენად დიდი არმია, რომ ამ სწავლებებშიც იყვნენ ჩაბმული ჩვენი ქვედანაყოფები და პლუს კიდევ ავღანეთში კონტინგენტი გავზარდოთ. ამიტომ, ეს ამ ეტაპზე ნაკლებად სავარაუდოა, ვფიქრობ, რომ ამის შესაძლებლობაც არ გვაქვს“, — აღნიშნა ზურაბ აგლაძემ.

„საქართველოს ატლანტიკური საბჭოს“ აღმასრულებელი დირექტორი გიორგი მუჩაიძე თვლის, რომ ნატოსთან კონსულტაციების შედეგად უნდა გაირკვეს, რა რაოდენობით აპირებენ კონტინგენტის გაზრდას, რა სახის მისიები იქნება, რომელ რეგიონში,რა საჭიროებები წარმოიშვა ნატოს წინაშე და ამის დასაკმაყოფილებლად რამდენად მიზანშეწინილია ქართული კონტინგენტის რაოდენობის გაზრდა.

ავღანეთში ჩვენი მონაწილეობა ძალიან სერიოზულ არგუმენტებს იძლევა ქართული მხარისთვის. ჩვენი ნატოსთან მჭიდრო თანამშრომლობა მომგებიანია, როგორც გლობალური უსაფრთხოებისათვის, ასევე ზოგადად ევროატლანტიკური უსაფრთხოებისათვის. ამდენად, ჩვენს მონაწილეობას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხოლმე“...

წლეულს, დეკემბრის ბოლოს ნატოს მინისტერიალის შეხვედრა და შემდეგ, უკვე, ნატოს 2018 წლის სამიტი იმართება. ქართულ მხარეს ორივე მიმართულებით დაწყებული აქვს მუშაობა. კერძოდ, ოფიციალურმა თბილისმა საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე ნატო-საქართველოს კომისიის სხდომის გამართვა მოითხოვა. როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით დონდუა აცხადებს, შეხვედრაზე უნდა განიხილონ შავი ზღვის რეგიონის პრობლემატიკა და ნატო-საქართველოს დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი.

სამხედრო ანალიტიკოსი, ანალიტიკური საბჭოს მკვლევარი ზურაბ აგლაძე თვლის, რომ ნებისმიერი ასეთი ფორმატის შეხვედრა, კონტაქტი დასავლელ მეგობრებთან და განსაკუთრებით ნატოსთან, მნიშვნელოვანია საქართველოსთვის.

„პირიქით, ხშირ შემთხვევაში ჩვენ უნდა ვიყოთ ამის ინიციატორები, რადგან ასეთი შეხვედრები ხელს უწყობს პოზიციების დაახლოებას, საერთო წერტილების მოძებნას. ეს შეხვედრები ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს აჩვენებს, რომ ჩვენ მნიშვნელოვანი ვართ ჩვენი პარტნიორებისთვის. მნიშვნელოვანია, ამავე დროს აუცილებელია, ბევრი ინიციატივა წამოვიდეს ასეთი შეხვედრებიდან და რაც მეტი ასეთი შეხვედრა ჩატარდება, მით უფრო მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის“, — აცხადებს ზურაბ აგლაძე.

თამთა ქარჩავა

კანადაში რეკორდული სიცხეა

კანადის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ანომალური სიცხეა. უქმეებზე ჰაერის ტემპერატურამ 32 გრადუსს გადააჭარბა, თუმცა, მაღალი ტენიანობის გამო, ტემპერატურის რეალური შეგრძნება თითქმის 40 გრადუსს მიუახლოვდა. ტორონტოს მცხოვრებლებმა უქმეების გატარება წყლის პირას გადაწყვიტეს. კანადისთვის წლის ამ დროს ასეთი სიცხე იშვიათი მოვლენაა.

საფრანგეთში პროფკავშირების აქცია ტარდება

აქციას სატვირთო მანქანების მძღოლებიც შეუერთდნენ. მათ ბელგიის საზღვართან ავტომაგისტრალი გადაკეტეს. სატრანსპორტო მოძრაობის პარალიზებით იმუქრებიან მძღოლები მარსელში, ლიონში, ბორდოში, ნანტსა და ქვეყნის სხვა ქალაქებშიც.

სპირტის გადასაზიდად ჩადებული მილი აღმოაჩინეს

უკრაინაში, ოდესის ოლქში, კუჩურგანის წყალსაცავში, მესაზღვრეებმა მილი აღმოაჩინეს, რომლითაც როგორც ჩანს, მოლდოვიდან უკრაინაში სპირტის გატანა იგეგმებოდა. მილად ის ანგარიშში იყო მოხსენიებული, მაგრამ რეალურად აღმოჩენილი იყო გრძელი შლანგი, 32-მილიმეტრიანი დიამეტრით, რომელიც მოლდოვის ნაპირიდან უკრაინამდე იყო გადაჭიმული.

„მისი მეშვეობით ბოროტგანმზრახველები, სავარაუდოდ, მოლდოვიდან უკრაინაში სპირტის უკანონოდ გატანას გეგმავდნენ“, — ნათქვამია უკრაინის სახელმწიფო სასაზღვრო სამსახურის შეტყობინებაში. ამოღებული მილი 540 მეტრის სიგრძისაა.

რუსეთში კანიბალების ოჯახი აღმოაჩინეს

რუსეთის ფედერაციაში კრასნოდარის მხარეში კანიბალების ოჯახი დააკავეს. ძიების მიხედვით, ოჯახი 20 წლის განმავლობაში ადამიანების ხორცით იკვებებოდა. ცოლ-ქმარი ადამიანებს იტაცებდნენ, კლავდნენ და შემდეგ მათ საჭმელად ამზადებდნენ. ამ დროისთვის აღმოჩენილია 8 ადამიანის ცხედარის ნარჩენები.

ვარაუდობენ, რომ ცოლ-ქმარი სულ მცირე 30 ადამიანის სიკვდილთან არის დაკავშირებული. კანიბალების ოჯახს სამართალდამცავებმა შემთხვევით მიაგნეს. ქალაქის ერთ-ერთ ქუჩაზე ტელეფონი იპოვეს, რომელშიც ცოლ-ქმარს მსხვერპლთან ფოტო ჰქონდათ გადაღებული. სახლის ჩხრეკისას მაცივარში შვიდი დაფასოებული პაკეტი იქნა აღმოჩენილი.

ბალიზე ვულკანური ამოფრქვევის საფრთხის გამო, მოსახლეობის ევაკუაცია მიმდინარეობს

ინდონეზიაში მასობრივი ევაკუაცია გრძელდება. ბოლო 48 საათის განმავლობაში სტიქიური საფრთხის ზონა 35 ათასზე მეტმა ადამიანმა დატოვა. ამის მიზეზი ვულკანი „აგუნგი“ გახდა. კრატერიდან ვულკანური ფერფლი უკვე მეოთხე დღეა, იფრქვევა. ბოლოს „აგუნგი“ კუნძულ ბალიზე 1963 წელს ამოიფრქვა, რასაც ათასზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა.

ყველაზე მძიმეწონიანი ქალი მორიგმა ოპერაციამ იმსხვერპლა

მსოფლიოში ყველაზე მძიმეწონიანი ქალი გარდაიცვალა. ეგვიპტელ იმან აჰმედ აბდულათის აბუ-დაბის კლინიკაში მორიგი ოპერაცია ჩაუტარეს, რომელიც ვერ გადაიტანა. აბდულათი 500 კილოგრამს იწონიდა. პირველი ოპერაციის შემდეგ მან 200 კილოგრამი დაიკო. ექიმები აბდულათის მეორე ოპერაციის გაკეთებას არ ურჩევდნენ, თუმცა პაციენტმა წონის განახევრება მოისურვა, რაც მისთვის ფატალური შედეგით დასრულდა.

◎ ტურიზმი

ჭრელი ჩურჩხელების შემოდგომა

შემოდგომის ბოლო თბილი დღეების არაჩვეულებრივი ხიბლი! შუადღეზე ჯერ კიდევ მცხუნვარე მზის სხივებით გამთბარ ჰაერში დატრიალებული მწიფე ყურძნის სურნელება ჰაერში ტრიალებს, რაც უპირველესად იმის დასტურია, რომ ეს ცხელი ზაფხულიც მიილია. შემოდგომის შემობრძანება მართალია, ჯერ კიდევ ნაკლებადაა შესამჩნევი, მაგრამ სულ მალე ქუჩებში ვეღარ ვნახავთ გუნდებად თუ წყვილებად მოსეირნე უცხოელ ტურისტებს, მოგვიანებით ისინი უკვე ზამთრის კურორტებზე გადაინაცვლებენ.

თუმცა, სანამ ზაფხულის ტურისტული სეზონი ჯერ კიდევ ბოლო დღეების ნადავლს „მოითვლიდეს“, იქნებ ღირდეს რამდენიმე გარემოების აღნიშვნა, რომლებიც, ვფიქრობ, მომავალ ზამთრის სეზონსაც წაადგება და არც გაისად ზაფხულის ტურისტულ ბიზნესს შეუშლის ხელს.

უმთავრესი მიზეზი, რამაც ამ წერილის დაწერა განაპირობა, ერთი უაღრესად არასასიამოვნო ცნობაა იმის თაობაზე, რომ საქართველოში პირველად ნამყოფ ტურისტთა დიდი ნაწილი აცხადებს, რომ სამოგზაუროდ და დასასვენებლად ჩვენთან ჩამოსვლას აღარ აპირებენ(?!) პროცენტული მონაცემების მოყვანისგან თავს შეგნებულად შევიკავებ, თუმცა კი ოდენობაც და თავად ფაქტიც უაღრესად შემაშფოთებელია. რას იზამ, ზოგს მოეწონა საქართველოში მოგზაურობა, ზოგს — არა, როგორც იტყვიან, ყველას თავის გზაზე გაუმარჯოს, მაგრამ ხომ საინტერესოა, მაინც რა არის ამ უკმაყოფილების მიზეზი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არც თვითმიზანია, არც ვინმესთვის „ყურის აწევის“ სურვილი. ქვეყნისთვის, რომლის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ტურიზმია **(ამ ჯერზე თავი დავანებოთ იმას, თუ რამდენად მართებულია ეს არჩევანი, ეს სხვა საუბრის თემაა. — ო.ტ.)** დიდად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ახალი, ასე ვთქვათ, „პირველადი“ ვიზიტორების მოზიდვა, არამედ ძველების შენარჩუნებაც, რაც, როგორც ირკვევა, ხშირად ვერ ხერხდება. ამის უპირველესი მიზეზი კი, როგორც ირკვევა, პირველ ყოვლისა, **მომსახურების არადამაკმაყოფილებელი დონეა**. ბოლო დროს დედაქალაქში, ასევე ქვეყნის რამდენიმე სხვა ზღვისპირა თუ მთის კურორტზე „მრავალვარსკვლავიან“ სასტუმროთა ოდენობამ საგრძნობლად მოიმატა, მაგრამ ტურისტული მასის აბსოლუტური უმრავლესობისთვის, ვისაც იქ გაჩერების მატერიალური შესაძლებლობა აქვს, იქაური სერვისი მიუღებელია. თუ ვინმეს ამის არ სჯერა, ამაში თავადაც შეუძლია დარწმუნდეს, პირადად მე კი, რამდენიმე ასეთ სასტუმროში, სტუმრების მომსახურების ასეთ დაბალ დონეს, სიმართლე გითხრათ, ნამდვილად არ ველოდი. ამასთან, მინდა ისიც გაითვალისწინოთ, პატივცემულო მკითხველო, რომ ამ შემთხვევაში არა მარტო საკუთარ, არამედ არაერთი ჩემი ახლობელ-მეგობრის აზრსაც მოგახსენებთ. როგორც ვიცი, ტურიზმის ორი მხარე არსებობს, ამ შემთხვევაში უცხო და შიდა მხარეებს ვგულისხმობ... ამდენად, არაა აუცილებელი ჩვენებური სერვისის უკმაყოფილო მაინცდამაინც უცხოელი ტურისტი იყოს: ადგილობრივი ხალხის აზრი განა გასათვალისწინებელი არ არის? იქნებ დროა, ამ ჯერ კიდევ საბჭოთა დროიდან მოყოლებული სტერეოტიპის მოსპობა, როცა საკუთარ მოქალაქეებს სოციალისტური „ინტურისტი“ ზღურბლზეც კი დიდი „ფილტრაციის“ შემდეგ უშვებდა? ჰოდა, როცა შიდა ტურიზმის საკითხს მივადექით, აქ მისი ღირებულების საკითხიც იჩენს თავს. მშვენივრად ვიცი, რომ რაც უფრო მაღალი კლასისაა მომსახურება, მით უფრო ძვირია ის მომხმარებლისთვის, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ტურისტული ნაკადის უმეტესობა, უკლებლივ ყველა ქვეყანაში, საშუალო და მასზე გარკვეულწილად დაბალი შემოსავლის მქონე ხალხია, რომლისთვის მომსახურების სამი ვარსკვლავის სერვისის მქონე, „ხუთვარსკვლავიანად“ მონათლულ სასტუმროში 250-გრამიანი ბოთლი „კოკა-კოლა“ 4 ლარი, კოლოფი სიგარეტი — 15 ლარი და ველოსიპედის ერთსაათიანი არენდა — 20 ლარი არ უნდა ღირდეს. ამდენად, ზღვაზე, გნებავთ მთაში, ფასების მომსახურებასთან შეფარდება არა მარტო უცბად გამდიდრების სურვილით უნდა იყოს ნაკარნახევი, არამედ ტურიზმის სტრატეგიულ ინტერესებსაც უნდა ემსახურებოდეს.

ფასების საკითხი უფრო მკვეთრად რომ წარმოჩინდეს, საამისოდ თუნდაც თბილისის მაღალი კლასის სასტუმროების წინ გაჩერებული ტაქსების ნიხრით დაინტერესებაა საკმარისი. მძღოლები, რომლებმაც არც დედაქალაქი იციან ხეირიანად და არც სიტყვა-პასუხი აქვთ, თუნდაც მინიმალურ დონეზე მისაღები, უცხოელის დანახვაზე მგზავრობის საფასურს რეალურ ღირებულებაზე ზოგჯერ 20-50-ჯერ მეტს ითხოვენ... დოლარებით ან ევროებით! ვინმემ შეიძლება თქვას, რომ ასეთ პრაქტიკას თითქმის ყველა ქვეყანაში ვხვდებით, და მართალიც იქნება, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ დროა, თბილისის მერიამ ინდივიდუალური ტაქსით მგზავრობის რაღაც ერთიანი სისტემა შეიმუშაოს და „ბროუნის მოძრაობასავით“ ქაოტური ბაზარზე რაღაც წესრიგის მსგავსი მაინც დაამყაროს?

ტურიზმის „ლაქებზე“ ლაპარაკი ბევრი შეიძლება, მაგრამ ამჯერად, გაგანია რთველში, ერთ გასაოცარ მომენტზე მინდა, შევაჩერო თქვენი ყურადღება. ბატონებო, რამდენიმე დღის წინათ კახეთიდან ახალდაბრუნებული მეგობარი შემხვდა, რომელმაც ლამის სალამის მაგივრად მომახალა, — თუ ძმა ხარ, მითხარი, ლურჯი ან მწვანე ჩურჩხელა თუ გინახავსო?! ჩემი გაკვირვებული სახის დანახვაზე სიმწრით გაეცინა და ბრაზმორეულმა თქვა: „გაგიგია, ნაირნაირად აჭრელებული ჩურჩხელები იყიდებოდეს, თითქმის საგარეჯოდან თელავამდე?! რას უშვრებიან ეს ღვთისპირისგან გავარდნილები ამ დალოცვილ, მართლაცდა გამორჩეულ ნუგბარს, ისეთ რა საკვებ დანამატებს უკეთებენ ბადაგს, რომ შორიდან თუ შეხედავ, ჩურჩხელით სავსე დახლები „მსუბუქი ყოფაქცევის მამაკაცების“ აღლუმად მოგეჩვენება“!

რა უნდა მეპასუხა მისთვის, ხალხი ყველაფერზე მიდის, ოღონდ ორი კაპიკი იშოვოს, ვიდრე ამის ცოტა შანსი მაინც აქვს-მეთქი? ეს ხომ უჩემოდაც კარგად იცის, მაგრამ მაგის მხოლოდ „ისე ცოდნა“, საქმის გამოუსწორებლად, აბა, რის მაქნისია?

ოთარ მერიშვილი

ანაკლიის პორტი

21-ე საუკუნის საზღვაო აბრეშუმის გზა

ხელისუფლება ანაკლიის პროექტის განხორციელებაზე დიდ იმედს ამყარებს. პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი აცხადებს, რომ ანაკლიის პორტის ამოქმედება მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი ეკონომიკისთვის, საქართველო დაიბრუნებს ისტორიულ მისიას, ათასობით სამუშაო ადგილი გაჩნდება ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

ექსპერტები თანხმდებიან, რომ ანაკლია სულაც არ ჰგავს ლაზიკის უტოპიურ ექსპერიმენტს, რომელიც სააკაშვილს წინასაარჩევნოდ ახსენდებოდა. ანაკლიის პორტი უამრავი ადამიანის დასაქმებას გვიქადის. ამის მიზეზი კი ისაა, რომ სწორედ ანაკლიაში გადის შავ ზღვაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი წყალქვეშა კანიონი (მდინარის ყველაზე ღრმა ხეობა). აქ საზღვაო პორტის სიღრმე 20,5 მეტრია. შედარებისთვის: ბათუმში 14 მეტრია, ფოთში — 8,5 მეტრი. ალბათ, ამიტომაცაა, რომ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული, ანაკლიის სიახლოვეს პორტის აშენების იდეა არსებობდა.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში **ემზარ ჯგერენაია** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ იდეაში ანაკლიის პორტი ძალზე მნიშვნელოვანი პროექტია. ღრმაწყლოვანების გამო იგი თეორიულად საინტერესო საინვესტიციო ობიექტს წარმოადგენს. თუმცა რამდენად განხორციელებადია და როგორ შეიძლება ვაქციოთ რეალობად, რთული და სერიოზული საკითხია.

„ფაქტი სახეზეა, პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა, ნაპირგასამაგრი სამუშაოები ხორციელდება, წყალგამყოფებიც შენდება. ამიტომ დაველოდოთ წლის ბოლოს, დეკემბერში გამოჩნდება პირველადი შედეგები. ამ პორტს მილიარდამდე ინვესტიცია, სერიოზული თანხები სჭირდება“, — მიიჩნევს ემზარ ჯგერენაია.

ენერგეტიკის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ანზორ ჭითანავა ჩვენთან საუბრისას განმარტავს, რომ კარგად აქვს შესწავლილი ანაკლიის საკითხი და იმ პარამეტრებით, რა პარამეტრებიც დღეს გაცხადებულია ანაკლიის პორტთან მიმართებით, სპეციალისტებს შორის კითხვის ნიშნებს არ იწვევს და განხორციელებადია ეტაპების მიხედვით. ეს ნიშნავს, რომ **ანაკლიის პორტის ექსპლუატაციაში შესვლის პირველი ეტაპი იქნება საწყისი, სასტარტო ეტაპი, ამას დაემატება გაცილებით მეტი პარამეტრი და გაძლიერდება ტვირთბრუნვა. საბოლოო ჯამში კი, მივიღებთ მოხერხებულ, გეოგრაფიულად და ლანდშაფტურად სწორად დაგეგმილ საზღვაო ინფრასტრუქტურას.**

„უნიკალური ადგილია ანაკლია. საქართველოსთვის ეს იქნება სერიოზული შენაძენი, აღარაფერს ვამბობ ტრაფარეტულ სიტყვებზე — სამუშაო ადგილები, შემოსავლების ზრდა... ეს თანმდევი პროცესია, საამისო გამოცდილება ჩვენ გვაქვს. ენგურჰესის პროექტი რომ დავიწყეთ, სამეგრელოში სულ რაღაც ორი ოდა იდგა, ხისგან აშენებული. მშენებლობის დასრულებისას კი უკვე მივიღეთ ქალაქები, დაბები, საცხოვრებლები, თავისი განვითარებული ინფრასტრუქტურით.

ამას გულმოდგინედ და თავდაჯერებულად იმიტომ ვამბობ, რომ ენგურჰესის პროექტირება და მშენებლობა უშუალოდ იყო დაკავშირებული ანაკლიის საზღვაო ზოლის შესწავლასთან, მის შეფასებასთან. 2013 წლამდე ენგურჰესის თაღოვანი კაშხალი მსოფლიოში ყველაზე მაღალ თაღოვან კაშხლად ითვლებოდა და მისი წყალსაცავის გარღვევის ან უმნიშვნელო ბიძგების პირობებშიც შესაძლებელი იყო იქ კატასტროფული ხარჯების გადმოდინება, რომელსაც შეეძლო გამოეწვია კატასტროფული შედეგები. ამიტომ კარგად შევისწავლეთ ანაკლიის მიდამოები, სადაც ახლა პორტი უნდა განვითარდეს. ძალიან კარგად ვიცი, რა მნიშვნელობა აქვს პორტებს, რადგან ჩემი სპეციალობა — ჰიდროტექნიკური მშენებლობა პორტების მშენებლობასაც ითვალისწინებს.

ყველას შევედავები, თუ ვინმე შემეწინააღმდეგება, რომ ენგურის კანიონი უნიკალური ადგილი არ არის ღრმაწყლოვანი პორტის განვითარებისთვის. სინამდვილეში, ასეთი ადგილები მსოფლიოში იშვიათია და ენგურის ღრმაწყლოვანს რომ იძახიან, ხალხს არ ესმის, ეს რას ნიშნავს. ენგურს აქვს კანიონი, რომლის სიღრმეც 60 მეტრია და ეს კანიონი სწორედ მაღალი ტვირთამწეობის გემებისთვისაა განსაზღვრული. აქედან გამომდინარე, **ანაკლიასაც არა მარტო საქართველოსთვის, არამედ ევრაზიული კონტინენტისთვისაც დიდი მნიშვნელობა ექნება. ანაკლიის პორტის შესაძლებლობა ბევრად აღემატება ფოთის პორტის პარამეტრებს. ღრმაწყლოვანი და მაღალი ტვირთამწეობის სატვირთო გემების მისაღებად ფოთის პორტის პარამეტრები შეზღუდულია“,** — ამბობს ანზორ ჭითანავა და ანაკლიის პორტის მსოფლიო პროცესებში ჩართვას ელის, რასაც „აბრეშუმის გზა“ და ევრაზიული ტვირთბრუნვა ითხოვს.

მანანა იმერლიშვილი

◎ ფრენბურთი

შორია ელიტამდე...

ბებერი კონტინენტის 16 საუკეთესო გუნდი ჩაება ფრენბურთელ ქალთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. „ბ“ ჯგუფს თბილისმა უმასპინძლა (დანარჩენი სამი ჯგუფის პაექრობები აზერბაიჯანში გაიმართა). მომდევნო რაუნდში გასასვლელი სამი საგზურისთვის ოლიმპიურ სასახლეში „ჯვაროსნებთან ერთად იბრძოდნენ კონტინენტის პირველობების ორ-ორგზის (2007, 2009 წ.წ.) გამარჯვებული და მეორე პრიზიორი (2001, 2005), 1999 წლის ბრინჯაოს მედალოსანი იტალიის ნაკრები, ევროპის ჩემპიონატების სამგზის ვერცხლის პრიზიორი (1995, 1997, 1999) ხორვატეთი და ბელარუსი.

ასპარეზობის სტარტზე ჩემპიონატის დებიუტანტმა საქართველოს ნაკრებმა ელიტის წევრ იტალიასთან 0:3 (14:25, 12:25, 12:25) წააგო. სტუმარებმა თამაშის ყველა კომპონენტში გვაჯობეს. „იტალიელებთან შეხვედრისას მსგავს ანგარიშს ველოდით, რადგან აპენინელები არა მარტო ჯგუფის, არამედ ჩემპიონატის ფავორიტები არიან. იტალიასთან მატჩი ჩვენი გუნდისთვის კარგი გაკვეთილია“ — იტყვის ორთაბრძოლის შემდეგ საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი **პაატა ულუმბელაშვილი.**

პირველივე ტურში დაძაბული გამოდგა ხორვატეთისა და ბელარუსის შეხვედრა. პირველი ორი ხელი ხორვატებმა მოიგეს — 25:10, 25:15, მომდევნო სამში კი მეტოქეებმა შეძლეს გამარჯვების მოპოვება — 25:21, 25:20, 15:9. ხორვატებმა ასევე თავგამოდებით იბრძოლეს აპენინელთა წინააღმდეგ, მაგრამ იქაც 2:3 დამარცხდნენ, იტალიელებმა კი სამივე მატჩში მიაღწიეს წარმატებას და მეოთხედფინალში დაიბევეს ადგილი.

მე-2 ტური

საქართველო — ხორვატეთი 1:3 (12:25, 13:25, 25:23, 23:25),

იტალია — ბელარუსი 3:1 (27:25, 25:18, 18:25, 25:21).

მე-3 ტური

საქართველო — ბელარუსი 0:3 (8:25, 11:25, 12:25),

ხორვატეთი — იტალია 2:3 (23:25, 21:25, 25:19, 25:10, 11:15).

საბოლოო შედეგი

	თ	მ	წ	ს	ქ
იტალია	3	3	0	9:3	8
ბელარუსი	3	2	1	7:5	5
ხორვატეთი	3	1	2	7:7	5
საქართველო	3	0	3	1:9	0

შენიშვნა: ს (სეტები).
ქულების დარიცხვა: 3:0, 3:1-3 ქულა, 3:2-2 ქულა, 2:3-1 ქულა, 1:3, 0:3-0 ქულა.

ლექსო ცინცაძე

◎ ჭადრაკი

ევროპა თუ აზია?

თბილისში **დასასრულს უახლოვდება მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიოს თასის (საპრიზო ფონდი მილიონ 600.000 დოლარი) გათამაშება. 128 მონაწილიდან ასპარეზობას ორი დიდოსტატი შემორჩა. ტურნირის გამარჯვებული 120.000, ხოლო ფინალისტი 80.000 დოლარით დაჯილდოვდება. ორივე მოჭადრაკე გაისად პრეტენდენტთა ტურნირში ითამაშებს.**

ნოკაუტ-სისტემით მიმდინარე მსოფლიოს თასის ფინალისტებმა სასტუმრო „ბილტმორში“ გადაინაცვლეს. სომეხი ლევონ არონიანი (2799) და ჩინელი დინ ლიჟენი (2777) მთავარი პრიზის მოსაპოვებლად ოთხჯერ უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. მათ ორი პარტია უკვე ითამაშეს. სასტარტო ორთაბრძოლაში სომეხი დიდოსტატის ნაცვლად პირველი სიმბოლური სვლა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა **ტარიელ ხეჩიკაშვილმა** გააკეთა. სასტარტო პარტიაში მეტოქეებმა 35, მეორეში კი 75 სვლა გააკეთეს, მაგრამ მოგების გზას ვერ მიაგნეს და დაზავდნენ. თუ ოთხი კლასიკური პარტია ფრედ — 2:2 დამთავრდება, გამარჯვებულს ტაი-ბრეიკი გამოავლენს.

გივი გაგუა

◎ თანამშრომლობა

კორეელები ქართველებს ამზადებდნენ

სპორტულ **კომპლექს „ახალ თბილისში“ მდებარე ფრენბურთის არენაზე დასრულდა ტაეკვონდოს სემინარი ქართველი მწვრთნელებისთვის. 30-მდე ჩვენებურ სპეციალისტს სემინარი ჩაუტარა სამხრეთ კორეიდან ჩამოსულმა ორმა სპეციალისტმა — ლიმ ჯაე ჰიონმა (მე-7 დანი) და ჯიონგ სუნგ კიმმა (მე-6 დანი).**

სემინარს დაესწრნენ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე შალვა გოგოლაძე და ტაეკვონდოს ფედერაციის პრეზიდენტი სულხან ბაბუაძე. ისინი გაესაუბრნენ კორეელ და ქართველ მწვრთნელებს და ხაზი გაუსვეს სემინარის მნიშვნელობას.

ეს სპეციალისტები საქართველოში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და ტაეკვონდოს საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით ჩამოვიდნენ და ცალკეულ რეგიონებსა და თბილისში მომუშავე მწვრთნელებს ამზადებდნენ.

სემინარი 15 სექტემბერს დაიწყო და გუშინ დამთავრდა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ტაეკვონდოს ფედერაცია სპორტსმენებისა და მწვრთნელების გადამზადების კუთხით სერიოზულად მუშაობს.

შეგახსენებთ, რომ ივლისში ტაეკვონდოს ეროვნულმა ფედერაციამ ტაეკვონდოს საერთაშორისო ფედერაციის დახმარებით 4 კორეელი სპეციალისტი ჩამოიყვანა, რომლებმაც თეორიული და პრაქტიკული სემინარები ქართველი სპორტსმენებისთვის სპორტულ კომპლექს „არენა 1-ში“ მოაწყვეს. კორეელმა სტუმრებმა ჩვენს ქვეყანაში მაშინ 40 დღე გაატარეს და ქართველ სპორტსმენებს თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს.

კობა კობახიძე

◎ კაპიტანი

კაშია - გოლი და მოგება „აიაქსთან“

გურამ კაშიამ „აიაქსი“ — „ვიტესის“ მატჩში გოლი თავური დარტყმით გაიტანა. არნემელთა ქართველმა კაპიტანმა ანგარიში 21-ე წუთზე გახსნა, როცა ბრუნსის ჩაწოდებული ბურთი გადაგზავნა კარში. ტაიმის ბოლოს „ვიტესმა“ მეორეც გაიტანა და საბოლოოდ 2:1 მოიგო, საერთოდ კი კაშიამ მატჩი მაღალ დონეზე ჩაატარა.

ექვსი ტურის შემდეგ „ვიტესს“ 13 ქულა აქვს და მესამე ადგილზეა, ხოლო კაშიასთვის ეს სეზონში მეორე გოლია.

რუსულ პრემიერლიგაში მორიგი გოლი გაიტანა „ვიტესის“ ყოფილმა ფეხბურთელმა გიორგი ჭანტურიამ. მან „ტოსნოსთან“ მოგებულ შეხვედრაში (3:1) გამოიჩინა თავი, კერძოდ, პენალტი შეასრულა ზუსტად. ქართველმა 67 წუთი ითამაშა, „ურალი“ კი მეექვსე ადგილზეა.

გიორგი ზოთაძე

◎ ლეგიონერი

ვინ დათარსა?

საქართველოს **ნაკრების წამყვანი კალათბურთელი თორნიკე შენგელია ტრავმირებულია. იგი „ბასკონიასა“ და იერუსალიმის „ჰაპოელის“ ამხანაგურ შეხვედრაში დაშავდა.**

როგორც ბასკური გუნდის ვებგვერდი იტყობინება, ჩვენებურს მარცხენა ფეხზე ტერფის დაზიანება აღენიშნება. ჯერჯერობით უცნობია ტრავმის სიმძიმე და ყველაფერს ნათელი უახლოეს პერიოდში მოეფინება, როდესაც ქართველს სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარდება.

„ბასკონია“ ესპანეთის ჩემპიონატის პირველ ტურში 29 სექტემბერს კატალონიაში „ბარსელონას“ ეს-ტუმრება

ვიტალი ჯაფარიძე

◎ მუქარა

საფრანგეთისა და ავსტრიის ულტიმატუმი

საფრანგეთის **სპორტის მინისტრის ლორა ფლესელის განცხადებით, თუ 2018 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე დაცული არ იქნება უსაფრთხოების მაღალი სტანდარტები, მისი ქვეყნის გუნდი არ გაემგზავრება სამხრეთ კორეაში: „თუ მდგომარეობა უფრო გაუარესდა და უსაფრთხოების გარანტიები არ გვექნება, საფრანგეთის ნაკრები სახლში დარჩება,“ — ამბობს ფლესელი.**

იგივე შინაარსის მუქარა გაისმა ავსტრიაშიც. ამ ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის კარლ შტოსის თქმით, ავსტრია ყურადღებით დააკვირდება მოვლენათა განვითარებას: „თუ სიტუაცია უფრო დამძიმდა და ჩვენს სპორტსმენებს არ ექნებათ უსაფრთხოების გარანტიები, ჩვენ არ წავალთ სამხრეთ კორეაში“.

ასეთი რეაქცია განპირობებულია კორეის ნახევარკუნძულზე არსებული ფეთქებადსაშიში ვითარებით და მეზობელ ჩრდილოეთ კორეაში გახშირებული ბირთვული რაკეტების გამოცდებით.

პიონჩანგი, სადაც 8-29 თებერვალს ოლიმპიური თამაშები უნდა ჩატარდეს, მხოლოდ 80 კილომეტრით არის დაშორებული ჩრდილოეთ კორეის საზღვარს.

სექტემბერში ჩრდილოეთ კორეამ წყალბადის ბომბის მორიგი გამოცდა განახორციელა და ბალისტიკური რაკეტები გაუშვა იაპონიის ტერიტორიის მიმართულებით. ამ პროვოკაციული ქმედებების საპასუხოდ გაერომ მიიღო შესაბამისი რეზოლუცია და უფრო გაამკაცრა სანქციები ამ ქვეყნის მიმართ.

სწორედ ახლახან დამთავრებულ გაეროს გენერალურ ასამბლეაზე ნუ-იორკში ერთმანეთს შეხვდნენ სამხრეთ კორეის პრეზიდენტი მუნ ჩჟე ინი და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი თომას ბახი. დიალოგის ძირითადი თემა იყო უსაფრთხოების საკითხები პიონჩანგის ოლიმპიურ თამაშებზე. ორივე პრეზიდენტი აცხადებს, რომ თამაშებზე უსაფრთხოება გარანტირებული იქნება.

გარდა ამისა, თომას ბახმა აღნიშნა, რომ მთავრდება მუშაობა გაეროს რეზოლუციის ტექსტზე „ოლიმპიური ზავის“ შესახებ და ამ დოკუმენტს კენჭს გაეროს მომავალ გენერალურ ასამბლეაზე უყრიან, რომელიც ნოემბერში გაიმართება.

მანუჩარ გიორგაძე

ინკლუზიური ბავშვი ფანჯრისკენ მიიწევდა?!

შემთხვევა ზემო ფონიჭალის 206-ე საბავშვო ბაღში მოხდა. პატარა სასწრაფო დახმარების ბრიგადამ ინგოროყვას სახელობის კლინიკაში გადაიყვანა.

მომხდარს ადასტურებს თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორიც. თემურ თორდინავას განმარტებით, სამი წლის აღსაზრდელი ბაღის მეორე სართულიდან გადმოვარდა. მისი თქმით, დამატებითი ინფორმაცია მოგვიანებით ექნება, რადგან, ამ ეტაპზე მომხდარის დეტალებში გარკვევას ცდილობს.

ბაღის თანამშრომლების ინ-

ფორმაციით, შემთხვევა დაახლოებით დილის 10:00 საათზე მოხდა.

206-ე ბაღის დირექტორი ამბობს, რომ ბავშვი ინკლუზიურ ჯგუფს მიეკუთვნება და ის არა მეორე, არამედ პირველი სართულიდან გადახტა. მარინა გოგოლაძის თქმით, ბავშვის მდგომარეობა ამ ეტაპისთვის დამაკმაყოფილებელია. მისივე ინფორმაციით, მასთან აღმზრდელები იმყოფებოდნენ, ამიტომ რთული სათქმელია, რა ვითარებაში მოხდა შემთხვევა.

„ბავშვი არის ინკლუზიური და პირველი სართულიდან გადმოხტა. დამაკმაყოფილებელია მდგომარეობა, ყველაფერი კარგად არის. იქ ვიყავით ყველა, მაგრამ, ინკლუზიური ბავშვები მოგეხსენებათ, როგორებიც არიან, მცდელობა ადრეც ჰქონდა, დღეს კი დააგვირგვინა,“ — განაცხადა მარინა გოგოლაძემ.

ამ დროისთვის ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმე, მაგრამ სტაბილურია. ამის შესახებ განცხადება, ინგო-

როყვას კლინიკის ექიმმა გააკეთა. მისივე ინფორმაციით, ამ დროისთვის ბავშვს დეტალური კვლევა უტარდება და ანტიშოკურ მკურნალობას გადის.

„არსებული კვლევებით ფიქსირდება მარცხენამხრივი ჰემოპლემოთორაქსი. დაიწყო ანტიშოკური მკურნალობა. აყვანილ იქნა ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში შემდგომი მკურნალობისთვის,“ — განაცხადა მკურნალმა ექიმმა.

ექიმის ინფორმაციით, ამ ეტაპზე ბავშვი ქირურგიულ ჩარევას არ საჭიროებს.

თბილისის მერია 206-ე ბაგა-ბაღის აღმზრდელისა და დირექტორის უფლებამოსილების შეჩერებას ითხოვს

ფონიჭალაში მდებარე 206-ე საბავშვო ბაგა-ბაღში მომხდარ ფაქტს ეხმაურება დედაქალაქის მერია.

„მიუხედავად იმისა, რომ თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო ძალისხმევას არ იშურებს ქალაქის მასშტაბით არსებულ ბაღებში უსაფრთხო გარემოსა და სივრცის შესაქმნელად, მოხდა ძალიან სამწუხარო შემთხვევა, რაც ყოვლად გაუმართლებელია.

ბავშვის მდგომარეობა ამ ეტაპზე დამაკმაყოფილებელია და აღსაზრდელი ინგოროყვას კლინიკაში საჭირო სამედიცინო პროცედურებს გადის.

თბილისის მერია გმობს მომხდარს და მიმართავს საგამოძიებო ორგანოებს, რაც შეიძლება სწრაფად გამოიძიონ აღნიშნული ფაქტი. ამასთანავე, თბილისის მერი ავალებს ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელს, გამოძიების დასრულებამდე, შეუჩეროს უფლებამოსილება ბაგა-ბაღის დირექტორსა და იმ აღმზრდელებს, რომლებიც ამ კონკრეტული შემთხვევისას უშუალოდ ახორციელებდნენ ზედამხედველობას სასწავლო პროცესზე.

მოვუწოდებთ ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს თანამშრომლებს, თავი შეიკავონ არაეთიკური განცხადებებისგან.

აღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით დედაქალაქის მერია მაქსიმალურად ითანამშრომლებს გამოძიებასთან.“

ახალი ბაღები შენდება,მაგრამ აღგილების დეფიციტს ვერ ფარავს

საბავშვო ბაღები გადატვირთულია. დედაქალაქში სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებები მზარდ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებენ.

ზოგიერთ დაწესებულებაში იმდენი ბავშვია, რომ აღსაზრდელებს რიგრიგობით უწევთ ძილი. მშობლების ნაწილი ჩივის, რომ ჯგუფში ხანდახან 60-ზე მეტი აღსაზრდელია და მათ სათანადო ყურადღება არ ექცევა.

ბაგა-ბაღების პრობლემა განსაკუთრებით მაშინ გაჩნდა, როდესაც ნაცმოძრაობამ საბავშო ბაღების „ოპტიმიზაცია მოახდინა“ და მათთვის განკუთვნილი შენობები პრივატიზაციის გზას გაუყენა. ბოლო წლებში ამ მხრივ ვითარება თითქოს გამოსწორდა, მაგრამ სასურველისგან ჯერ შორსაა.

თბილისის მერის დავით ნარმანიას განცხადებით, მომავალ წელს კიდევ უფრო მეტი ბაღი იქნება ქალაქში, ვიდრე ახლაა. ამჟამად ბაგა-ბაღებში აღმზრდელების რაოდენობა საკმარისია, კვება მოგვარებულია, მაგრამ ბაღების რაოდენობაა მცირე.

„იყო ძალიან დიდი მოთხოვნა, ამიტომ ჩვენ ინტენსიურ რეჟიმში ვაშენებთ ახალ საბავშვო ბაღებს, რათა გადავსებული კონტიგენტი გადანაწილდეს ახალ ბაღებში. ჩემი მერობის პერიოდში 12 ახალი ბაღი გვაქვს უკვე აშენებული და გახსნილი. ძველი შენობებიც გარემონტდა და დამატებით 500 ბავშვიც მივიღეთ. 13 ახალი ბაღის მშენებლობა ამჟამად მიმდინარეობს, რათა უფრო მეტი ბავშვი მივიღოთ“, — განაცხადა ნარმანიამ.

თბილისის საბავშვო ბაგა—ბაღების მართვის სააგენტოს ინფორმაციით წელს თბილისის საჯარო ბაგა-ბაღებში 60 ათას 500 ბავშვი მივიდა, რაც წინა წელთან შედარებით 1500-ით მეტია. სააგენტოს ხელმძღვანელი თემურ თორდინავა ადასტურებს, რომ წინა წელთან შედარებით საჯარო ბაღებში ბავშვების რაოდენობა ნამდვილად მომატებულია. მან ჯგუფებში ბავშვების გადატვირთულობის პრობლემაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ იქ, სადაც ასეთი პრობლემა არსებობს, პერსონალს დაამატებენ.

რაც შეეხება 2017 წლის სხვა გეგმებს, თბილისის მასშტაბით 10-მდე ახალი ბაღის მშენებლობა დასრულდება, გაისად კი დედაქალაქში 8 ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობის დაწყება იგეგმება, რაც ნაწილობრივ მოხსნის ახალ სასწავლო წელს ბაღებში ბავშვების რეგისტრაციის პროცესთან დაკავშირებულ პრობლემას.

გარდა ამისა, 2017 წლის ბიუჯეტით 35-მდე საბავშვო ბაგა-ბაღში დაგეგმილია პანდუსების მოწყობა, მოქმედ ბაღებში კი, აუთვისებელი ფართების გარემონტების გზით, ჯგუფების დამატება.

რამდენმა აღსაზრდელმა ვერ შეძლო წელს ბაღებში დარეგისტრირება, ამის შესახებ ინფორმაცია ჯერ ცნობილი არ არის. თემურ თორდინავა განმარტავს, რომ ეს მონაცემები საბავშვო ბაღებიდან სექტემბრის ბოლოს ან ოქტომბრის დასაწყისში ექნებათ.

ბექა დანელია

სანთელი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა სამძიმარს უცხადებენ აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს წევრს ზურაბ ჯგუბურიას და აფხაზეთის ა/რ სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს ვახტანგ ჯგუბურიას დედის

ნათელა გამისონია-ჯგუბურიას

გარდაცვალების გამო.

ქუთაისში სილამაზის სალონები გაძარცვეს



„პირველი არხის“ ინფორმაციით, ქუთაისში, ფალიაშვილის 4 ნომერში მდებარე სილამაზის სალონები გაძარცვეს. სალონებიდან წაღებულია თანხა. საქმეზე დაწყებულია გამოძიება.

როგორც ერთ-ერთი სალონის თანამშრომელმა ნაირა ჩარქსელიანმა პირველ არხთან განაცხადა, დილით სალონის სალაროდან 500 ლარი წაღებული დახვდა.

კახეთში სამი ახალგაზრდა დაჭრეს

წინასწარი ინფორმაციით სამი ახალგაზრდა თელავის რაიონის სოფელ შალაურში ცივი იარაღით თანასოფლელმა დაჭრა. ორ მათგანს სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა, ერთ-ერთი დაჭრილი ამ დრომდე ინტენსიური თერაპიის პალატაში რჩება.

ექიმების განცხადებით, დაშავებულების ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმე, მაგრამ სტაბილურია, თუმცა მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

რაც შეეხება დამნაშავეს, პოლიციამ ერთი პირი ცხელ კვალზე გუშინვე დააკავა. წინასწარი ცნობით, დაჭრას წინ თანასოფლელ ახალგაზრდებს შორის შელაპარაკება უძღოდა. დაპირისპირების მიზეზი არ სახელდება.

ბათუმში საჯარო სკოლას ფაროსანა შეესია!!!



გუშინ ბათუმის 23-ე სკოლის შენობის მეორე სართულზე კაბინეტებში აზიური ფაროსანას შესევის გამო სასწავლო პროცესი შეწყდა.

„წინა დღეებშიც იყო, მაგრამ დღეს ძალიან ბევრი დაგვხვდა. თითქმის ყველგან არის ფაროსანა, მაგრამ მეორე სართულზე განსაკუთრებით. ამიტომ სასწავლო პროცესი მხოლოდ პირველ სართულზე გვაქვს. აქ თავისუფალი ადგილები გვაქვს და იქ შევიყვანეთ მოსწავლეები. სასწავლო პროცესი არ შეწყვეტილა. რესურსცენტრში მითხრეს, რომ დღის მეორე ნახევარში მოვლენ და შეწამლავენ მთლიანად შენობას,“ — უთხრა 23-ე სკოლის დირექტორმა გურამ ფარტენაძემ „ბათუმელებს“.

„ჩვენთან მხოლოდ მახვილაურის სკოლაზეა ინფორმაცია შემოსული,“ — ამბობს ბათუმის გამწვანების სამსახურის უფროსი ლევან ჭანუყვაძე. მისი თქმით, შეწამვლის პროცესი სასწავლო პროცესს ხელს არ შეუშლის, რადგან „პრეპარატი 2 საათში იშლება“.

რამდენ სკოლაშია ფაროსანას პრობლემა — აჭარის განათლების სამინისტროს ინფორმაციით, ფაროსანა ბათუმის 28-ე და 31-ე სკოლების გარე პერიმეტრზეც დაფიქსირდა.

ს.ს. „რუსთავოილი“-ს განცხადება

2017 წლის 20 ნოემბერს 14 საათზე რუსთავის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, კოსტავას გამზირი №4-ში გაიმართება ს.ს. „რუსთავოილი“-ს მაზუთის (ნავთობის) გადასამუშავებელი საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის პროექტის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს ქ. რუთავის სამრეწველო უბნის ტერიტორიაზე, მეტალურგიული საწარმოს და მშვიდობის ქუჩის მიმდებარედ საწარმოს მშენებლობა მაზუთისაგან საგზაო ბიტუმის და სხვადასხვა პროდუქტის წარმოება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ ს.ს. „რუსთავოილი“-ს ადმინისტრაციულ (ქ. თბილისი, შევჩენკოს ქ. №1, სადარბაზო 1, ოფისი 4), და რუსთავის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში.

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

საკონტაქტო პირები:
რამინ ჯაფარიძე ტელ:. 558254367;
გენადი უბირია: ტელ:. 579020110.

ამდინისტრაცია

ყურძნის მოსავლის ნახევარზე მეტი გადამუშავებულია!

კახეთის რეგიონში რთვლის პროცესი აქტიურად გრძელდება. 25 სექტემბრის 10.00 საათის მონაცემებით, კახეთში უკვე 85 ათასი ტონა ყურძენია გადამუშავებული.

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის გიორგი სამანიშვილის ინფორმაციით, კახეთის მევენახეების შემოსავლებმა 96 მლნ ლარს მიაღწია.

„შეიძლება ითქვას, რომ ყურძნის მოსავლის ნახევარზე მეტი უკვე გადამუშავებულია. ყურძენი ღვინის საწარმოებს 11 ათასამდე მევენახემ ჩააბარა, რომელთა შემოსავლები 96 მლნ ლარს აღწევს. რთველი მიმდინარეობს ორგანიზებულად და მშვიდ გარემოში. ყურძნის გადამუშავების პროცესში ყოველდღიურად ჩართულია 100-მდე ღვინის კომპანია. მას შემდეგ რაც რთველი აქტიურ ფაზაში შევიდა, ყურძნის გადამუშავების დღეღამური მაჩვენებელი სტაბილურად, საშუალოდ 5 ათას ტონას აღწევს, რაც მიანიშნებს, რომ რთვლის პროცესი კახეთში შეუფერხებლად მიმდინარეობს“ – აღნიშნა **გიორგი სამანიშვილმა**.

დედოფლისწყაროსა და სიღნაღში, საიდანაც კახეთში ყურძნის კრეფა დაიწყო, რთველი თითქმის დასრულებულია. რთვლის პროცესი ამ ეტაპზე აქტიურად კახეთის დანარჩენ მუნიციპალიტეტებში მიმდინარეობს.

მთლიანი გადამუშავებული მოსავლიდან 40 ათასი ტონა რქაწითელი, 39 ათასი ტონა საფერავი, 2,6 ათასი ტონა კახური მწვანე, დანარჩენი კი სხვადასხვა ჯიშის ყურძენია.

ქართული კერძები დიდი ბრიტანეთის პარლამენტის რესტორნის მენიუში

ბრიტანეთის პარლამენტში ქართული კერძების კვირეული გაიმართა, რომლის დასრულების შემდეგაც, ქართული კერძების ნაირსახეობა პარლამენტში მდებარე რესტორნის მუდმივ მენიუში იქნა შეტანილი.

დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საელჩოს ინიციატივით ქართული სამზარეულოს კვირეული „A Taste Adventure to Georgia“ პირველად მოეწყო. კვირეულის ფარგლებში, რომელიც სექტემბრის პირველ ნახევარში გაიმართა, მსურველებს საშუალება მიეცათ პარლამენტის რესტორანში დაეგემოვნებინათ ქართული ეროვნული კერძები. მათი დიდი ნაწილი კვირეულის შემდგომ რესტორნის მუდმივ მენიუში დატოვეს.

ღონისძიებას უამრავი დამთვალიერებელი დაესწრო, მათ შორის ბრიტანეთის პარლამენტის წევრები, ბრიტანეთის პარლამენტის საქართველოს საკითხებზე მომუშავე პარტიათაშორისი საპარლამენტო ჯგუფი და მისი თავმჯდომარე ჯონათან ჯანოღლი.

ყაზახური ტურისტული კომპანიები აჭარით ინტერესდებიან

მსხვილი ყაზახური ტურისტული კომპანიები აჭარის მიმართულებით მუშაობას იწყებენ. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული ინფოტურის ფარგლებში ტურსააგენტოების მენეჯერები რეგიონს სტუმრობენ.

ოთხდღიანი ინფოტურისას მონაწილეები რეგიონის საზღვაო-სამთო და ეკოტურისტულ შესაძლებლობებს ეცნობიან. ისინი უკვე სტუმრობდნენ ბათუმში არსებულ მაღალ და საშუალო ბიუჯეტიან სასტუმროებს, სადაც ტურისტებისთვის მნიშვნელოვან სერვისებსა და ურთიერთანამშრომლობის საკითხებს გაეცნენ.

ყაზახურ და ქართულ ტურისტულ სააგენტოებს შორის მჭიდრო ურთიერთობის დამყარების მიზნით სასტუმრო ინტურისტში მოეწყო ორმხრივი შეხვედრები, სადაც ქართველმა და ყაზახმა კოლეგებმა კონკრეტული ტურისტული პაკეტების შემუშავებაზე ისაუბრეს. საქმიანი შეხვედრის დაწყებამდე კი მოეწყო აჭარის ტურისტული და საინვესტიციო პოტენციალის პრეზენტაცია.

ინფოტურის მონაწილეები მთიან აჭარასაც ეწვივნენ, სადაც რეგიონის ეკოტურისტულ და ისტორიულ-კულტურულ ღირსშესანიშნაობებს გაეცნობიან. ასევე, მოინახულებენ ადგილობრივ ღვინის მარნებს, სადაც ფოლკლორის მოსმენის და ადგილობრივი კერძების დაგემოვნების საშუალება მიეცემათ. ინფოტურის მონაწილეები რეგიონს ხვალ დატოვებენ.

ჩემო ტკბილო ბებო!

ერთ-ერთი უსაყვარლესი ადამიანი, ვინც კი ცხოვრების გზაზე ბედის წყალობით გვხდება, უდავოდ ბებიაა. მით უმეტეს ჩვენში, სადაც ათიდან ყოველი ცხრა ბებია შვილებს თავიანთი შვილების აღზრდაში ეხმარება და საამისოდ ძალ-ღონეს არ იშურებს.

მეცნიერთა დაკვირვებით ირკვევა, რომ რაც უფრო მეტს ურთიერთობენ შვილიშვილები თავიანთ ბებია-ბაბუებთან, მით უფრო სტაბილურია მათი ემოციური მდგომარეობა და მით უფრო ნაკლებად ვლინდება მათში ჰიპერაქტივობის ნიშნები, რაც, უწინარესად, ცელქობით, ცუდად მოქცევით გამოიხატება. თანაც, თუკი მშობლების არყოფნაში ბავშვს არა ძიძა, არამედ ბებია პატრონობს, ტრავმის რისკი ორჯერ უფრო იკლებს. აღსანიშნავია, რომ ჩვენში ბებია ყოველი მეოთხე პატარის ოჯახში ცხოვრობს, თანაც მათგან ნახევარზე მეტი შემდეგ აღიარებს, რომ ბებიებიდან დედის დედა მამის დედაზე გაცილებით მეტად უყვარდათ.

ბებიები ძალიან კოლორიტული ქალბატონებიც ბრძანდებიან. მაგალითად, მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა ბებიად, გინესის რეკორდების წიგნის მიხედვით, 23 წლის რუმინელი ბოშა რიფკა სტანესკუა აღიარებული. დედამიწაზე ყველაზე ასაკოვანი ბებია ფრანგი ჟანა ლუიზა კალმანია იყო, რომელიც 1997 წელს 122 წლის ასაკში გარდაიცვალა. 93 წლის დიდი ბებია, ბრიტანელი პეტ ოუქსი პლანეტის ყველაზე ხანდაზმული პარაშუტისტი ქალია.

ბოლოს კი იმის თქმა შეიძლება, რომ გაყრილი ან დაქვრივებული ქალბატონები შვილიშვილებს გაცილებით იშვიათად ნახულობენ, ვიდრე ქორწინებაში მყოფი მათი თანატოლები.

მარტის ყოველ პირველ კვირადღეს კი ევროპაში ბებიის დღეს აღნიშნავენ.

ერთი შეხედვის ფასი

ადამიანებს ერთმანეთის ხასიათის შეფასება გარეგნობით შეუძლიათ, აცხადებენ ამერიკელი მეცნიერები.

მათი მტკიცებით, ამის გაკეთება სამი წლის ბავშვსაც შეუძლია, რომლისთვისაც ერთი შეხედვით კმარა იმის გარკვევა, თუ რას წარმოადგენს კაცი. ექსპერტთა აზრით, ეს უნარი ადამიანს ბუნებრივად აქვს და სოციალურ აქტივობასთან დაკავშირებული არ არის.

გამოკვლევაში 99 ზრდასრული და 141 ბავშვი მონაწილეობდა და აღმოჩნდა, რომ ბავშვებსაც და უფროსებსაც ერთი შეხედვით ზუსტად შეუძლიათ იმის დადგენა, თუ როგორი ხასიათი აქვს ამა თუ იმ კაცს.

იმის მიუხედავად, რომ ბავშვების მსჯელობაში ლოგიკა ნაკლებად იყო, ისინი საკმაოდ დიდი სიზუსტით ადგენდნენ უცნობი კაცის ხასიათის თვისებებს. დაახლოებით შვიდი წლის ასაკისთვის კი ეს უნარი უმცირდებოდათ.

მოგზაურობა და... ღალატი

მოგაზურობები ადამიანებს... ღალატისკენ უბიძგებს, ასეთია კოლუმბიის (აშშ) უნივერსიტეტის მეცნიერთა მიერ ჩატარებული კვლევის შედეგი.

როგორც ირკვევა, მოგზაურობის დროს ადამიანი იმ აზრზე დგება, რომ ზნეობა არა აბსოლუტური, არამედ ფარდობითი ცნებაა. საქმე ისაა, რომ სხვადასხვა კულტურასთან ურთიერთობისას ადამიანები უფრო თავისუფლები, ნაკლებად შებოჭილები ხდებიან, რის შედეგად ცხოვრებას ახლებურად უყურებენ. ეს მათ ბევრ მანამდე უჩვეულო ნაბიჯისკენ, მათ შორის, ღალატისკენ უბიძგებს. თუმცა კი ისიცაა, რომ უცხოეთში ყოფნას ღალატი ყოველთვის არ მოყვება.

სპეციალისტებმა ერთმანეთს „ფართო“ და „სიღრმისეული“ გამოცდილებები შეადარეს. „სიღრმისეულ“ უცხოურ გამოცდილებაში ერთ ქვეყანაში ხანგრძლივი დროის მანძილზე ყოფნა იგულისხმება. ამ დროს ადამიანზე გაცილებით ნაკლები სხვადასხვა ზნეობრივი ნორმა მოქმედებს, ამდენად, ამორალური მოქცევის რისკი იმდენად მაღალი არ არის, როგორც ეს „ფართო“ გამოცდილების მიღების შემთხვევაშია ხოლმე.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4804; ევრო - 2.9708;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3617;
100 რუბლი - 4.3075; თურქული ლირა - 0.7102;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4500;
1000 სომხური დრამი - 5.1859.

ამინდი 26 სექტემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+15	დღე	+28
მთიანი რაიონები -	ღამე	+8,	დღე	+28
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+14,	დღე	+32
მთიანი რაიონები -	ღამე	+11,	დღე	+30
თბილისი:	ღამე	+20,	დღე	+25

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge